პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 190 (11194) | შაბათი, 19 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა მწერლის მაღალი მოწოდება

★ „პრავდის" 17 აგვისტოს მოწინავე ★

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა თავის მიღწევათა დიდი საყოველთაო-სახალხო დათვალიერების წინაშე დგას. უახლოეს თვეებში თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებში მწერალთა ყრილობები გაიმართება. ამ ყრილობებისათვის მზადებისადმი მიპყრობილია ამჟამად ჩვენი ქვეყნის მწერალთა ყველა ორგანიზაციის, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ლიტერატურის ინტერესებით ცხოვრობენ არა მარტო თვითონ ლიტერატორები, არამედ მილიონობით ადამიანებიც — ახალი სამყაროს მშენებლები. სოციალისტური მშენებლობის პროცესში ლიტერატურა ჩვენში საყოველთაო-სახალხო საქმის განუყრელი ნაწილი გახდა, იგი აქტიურად მონაწილეობს იმ დიად გარდამქმნელ მოღვაწეობაში, რომელსაც ხალხი ეწევა. კომუნისტური პარტია დიდად აფასებს მის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილების პროპაგანდაში. ყოველივე ეს ავალებს მწერალთა ორგანიზაციებს ყრილობებისათვის მზადება აწარმოონ ხალხის ცხოვრებასთან, კომუნიზმის მშენებლობის ცოცხალ პრაქტიკასთან ლიტერატურის კავშირის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების ნიშნით.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე პარტია მზრუნველად და დაუცხრომლად ზრდიდა მწერლებს კომუნიზმის საქმისადმი ულრმესი ერთგულების სულისკვეთებით. იგი ყოველთვის მოუწოდებდა და მოუწოდებს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით ძალებს სიმართლით, მკაფიოდ და შთაგონებულად აჩვენონ წიგნების ფურცლებზე ახალი, სოციალისტური სინამდვილე, ნიჭიერად ასახონ ახალი სამყაროს დაბადება. და საბჭოთა მწერლებმა იციან, რომ ლიტერატურა მაშინ ამართლებს თავის მაღალ და კეთილშობილურ დანიშნულებას, როცა იგი ხალხის ცხოვრების ცოცხალ ასახვას წარმოადგენს, როცა მხატვრის შემოქმედება გამსჭვალულია თანამედროვეობის პათოსით, დღევანდელ მიღწევათა გმირული რომანტიკით. პარტიული დოკუმენტი „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის", რომელიც ყველა ჩვენმა მწერალმა განსაკუთრებული ერთსულოვნებით მიიღო, ამომწურავად განსაზღვრავს ჩვენი ლიტერატურის განვითარების ხაზს.

ჩვენს დროს, ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობის, მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის უმაგალითო ზრდის, ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და ნიჭის მძლავრი გამოვლინების ამაღელვებელ დღეებში, საბჭოთა ლიტერატურის წინაშე განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები ისახება. იგი მოწოდებულია მხატვრული სახეებით გვიჩვენოს დიადი კომუნისტური აღმშენებლობა, ის ახალი რამ, რაც ხალხის ცხოვრებაში უკანასკნელ წლებში შევიდა და დამახასიათებელი გახდა კომუნიზმის გზაზე ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის. ლიტერატურის გამოცდილება გვარწმუნებს იმაში, რომ მკითხველის გულში ყველაზე მადლიერ გამოხმაურებას პოულობენ ის ნაწარმოებნი, რომლებიც გადმოგვცემენ ცხოვრების ცოცხალ სუნთქვას, გამოხატავენ თანამედროვეობის იდეებსა და სახეებს.

პატრიოტი მწერლისათვის არ არსებობს უფრო მაღალი მოწოდება, ვიდრე ის, რომ თავის შემოქმედებაში ცხოვრობდეს ხალხის საქმეებითა და ცხოვრებით, მისი ინტერესებით, ფიქრებით, იმედებით. მხატვრული შემოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ყველაზე სრულად იჩენს თავს იმ ნაწარმოებებში, რომლებიც მიძღვნილია ხალხის დიადი შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი, რომლებიც გამოხატავენ ყოველივე იმას, რაც ყველაზე არსებითი და დიდმნიშვნელოვანია თანამედროვეთა ცხოვრებაში, აღაფრთოვანებენ მათ დიდი, საგმირო საქმეებისათვის. მწერლის შემოქმედება განსაკუთრებით დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს, როცა იგი ამ შემოქმედებას მიმართავს დღევანდელი მჩქეფარე ყოველდღიურობისადმი, ისწრაფვის სრულყოფილი მხატვრული სახეებით გამოხატოს ყოველივე ის, რითაც დღეს ხალხი ცოცხლობს, რაც დღეს მისი ცხოვრების, მისი მოღვაწეობის აზრს შეადგენს.

ლიტერატურის გამოცდილება ამხილებს, თუ რაოდენ უმწეოა ეგრეთწოდებული დისტანციის თეორია, მოგონილი არა იმ მწერლების მიერ, რომლებიც სერიოზულად და ნაყოფიერად მუშაობენ ისტორიულ ჟანრში, არამედ ლიტერატურული მუქთახორების მიერ, რომლებსაც, როგორც ჩანს, ავიწყდებათ ლიტერატურის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება, ეშინიათ შეეხონ თავიანთ შემოქმედებაში ჩვენი ცხოვრების დიდ და მწვავე თემებს.

საბჭოთა ლიტერატურამ ხალხის მადლიერი აღიარება და ღრმა სიყვარული დაიმსახურა იმით, რომ აქტიურად იჭრებოდა ცხოვრებაში, მუდამ ცხოვრობდა ხალხის საქმით.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის — პუშკინისა და გრიბოედოვის, ლერმონტოვისა და გოგოლის, ტოლსტოისა და ტურგენევის, ჩეხოვისა და გორკის ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები ჭეშმარიტად თანამედროვე ლიტერატურას წარმოადგენდნენ. ამ კლასიკური ნაწარმოებების მიხედვით ჩვენ დღეს ვიგებთ, როგორ და რით ცხოვრობდა რუსეთის საზოგადოება მთელი საუკუნის მანძილზე, როგორ ვითარდებოდა მასში და სულ უფრო მეტ სასიცოცხლო ძალას იძენდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული იდეები. რუსული ლიტერატურის კლასიკოსებისათვის არავითარი დისტანციის თეორიები არ არსებობდა. ისინი ისწრაფოდნენ თავიანთი შემოქმედებით გამოხმაურებოდნენ თანამედროვეთა მოთხოვნილებებს, მათი ნაწარმოებები ბრძოლის ცოცხალი სუნთქვით იყო გამსჭვალული.

თავისთავად იგულისხმება, რომ ლიტერატურა თავის აღმზრდელობით მნიშვნელობას მაშინაც ინარჩუნებს, როცა პარტიულობის პოზიციაზე მდგომი მწერლის შემოქმედება მიმართულია წარსულისაკენ, როცა მას ისტორიული მოვლენები და სახეები იტაცებენ. ისტორიის ღირსშესანიშნავი მაგალითები, ხალხის გმირული წარსულის სახელოვანი ფურცლები, მისი რევოლუციური ტრადიციები ზრდიან პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობებს, ხელს უწყობენ ხასიათის საუკეთესო თვისებათა ჩამოყალიბებას.

ყრილობისწინა დისკუსია, რომელიც ამჟამად ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებში გაჩაღდა, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მიმართული უმთავრესისაკენ, გადამწყვეტისაკენ, ისეთი პრობლემებისაკენ, როგორიცაა არის „ლიტერატურა და ცხოვრება", „ლიტერატურა და კომუნიზმის მშენებლობა". საკვირველია, მაგრამ მწერალთა წრეში აღმოჩნდნენ დისკუსიის ისეთი მონაწილენი, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ იმის თაობაზეც კი იდავონ, რომ მართლაც თანამედროვეობის თემა უნდა განსაზღვრავდეს თუ არა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთავარ ხაზს.

„ლიტერატურნაია გაზეტამ" კი ნაცვლად იმისა, რომ საბრძოლო ტონი აძლევდეს ყრილობისწინა დისკუსიას, შესაძლოდ მიიჩნია დაებეჭდა სტატიები, რომლებშიც არსებითად უარყოფილი იყო თანამედროვეობის თემის ღრმა სასიცოცხლო მნიშვნელობა ლიტერატურისათვის, წამოყენებული იყო დისტანციის თეორია, რომელიც დიდი ხანია უარყო ცხოვრებამ. ასეთ მოსაზრებათა ავტორებს, როგორც წესი, თავი გამოჰყავთ ლიტერატურული შემოქმედების მაღალი მხატვრულობისათვის პრინციპულ მებრძოლებად. მაგრამ მთელი მათი ვითომდა პრინციპულობა საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება სავსებით ყალბი მტკიცებით: თუ ნაწარმოები თანამედროვე თემას მიუძღვნა, მწერალი თავის ნიჭს, თავის მხატვრულ ოსტატობას სრული ძალით ვერ გამოიჩენსო.

ლიტერატურული შემოქმედების საარსებო პრობლემების ფართოდ განხილვა საჭიროა უწინარეს ყოვლისა ჩვენი ლიტერატურის იდეური პრინციპების კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი წარმატებით განვითარება სოციალისტური რეალიზმის მიმართულებით, პარტიის მიერ ნაჩვენები გზით. ეს განხილვა მიმართული უნდა იყოს პრიმიტიულობის წინააღმდეგ, მხატვრული ამოცანების ზერელე, კონიუნქტურული გადაწყვეტის წინააღმდეგ. საბჭოთა ლიტერატურის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, პარტიის საქმესთან, ურყევი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებისადმი. იგი მუდამ მტკიცედ იდგა და კვლავ დგას მოწინავე კომუნისტურ პოზიციებზე, ხალხურობის პოზიციებზე.

საბჭოთა მწერლები მოწოდებულნი არიან სიმართლით და ნიჭიერად მოგვითხრონ ჩვენი დროის შესახებ. თანამედროვე ლიტერატურა ამ კეთილშობილურ ამოცანას მწერალთა მომავალ თაობებს ვერ გადააკისრებს. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ გავა ათეული წლები, ხოლო დღევანდელი სოციალისტური სინამდვილე, გრანდიოზულ მიღწევათა, უმაგალითო გარდაქმნათა, მილიონობით ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი შრომის, კოსმოსში მამაცური შეჭრით დაგვირგვინებულ განსაცვიფრებელ აღმოჩენათა სინამდვილე, მხატვართა მრავალ თაობას აღაფრთოვანებს. მაგრამ პირველი სიტყვა ამ სინამდვილის მხატვრულ ათვისებაში თანამედროვე მწერლებს უნდა ეკუთვნოდეს.

მწერალთა მომავალი ყრილობები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. მათი მომზადებისათვის გაჩაღებულ დიდ მუშაობაში მწერალთა კავშირებს უფლება აქვთ იმედოვნებდნენ, რომ მათ აქტიურ, ქმედით დახმარებას გაუწევენ და მხარს დაუჭერენ მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები. ისინი უნდა დაეხმარონ მწერალთა კოლექტივებს ჩაატარონ ყრილობები სერიოზული და პრინციპული შემოქმედებითი თვითკრიტიკის ნიშნით, თანამედროვეობის თემის მხატვრულ განსახიერებაში ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი გამოცდილების უაღრესად მკაცრი და მომთხოვნი განხილვის ნიშნით. ეს უმთავრესი იქნება ყრილობათა მუშაობაში. შეძენილი გამოცდილების ნამდვილად შემოქმედებითი განხილვა, იმის საქმიანი, ამხანაგური შემოწმება, თუ რამდენად სრულად ასახავენ ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები ჩვენი დროის ამაღელვებელ სიმართლეს, იძლევიან პასუხს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებზე, — აი საუკეთესო საფუძველი ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის მთელი ძალების უფრო მჭიდროდ დარაზმვისათვის, პარტიის მიერ დასახული დიდი და შთაგონებული ამოცანების გადასაწყვეტად მათი შემოქმედებითი მობილიზაციისათვის.

პარტია მოუწოდებს საბჭოთა მწერლებს, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში თავის ერთგულ და საიმედო თანაშემწეებს, მსოფლიო მხატვრული შემოქმედების მწვერვალებისაკენ, გამოთქვამს იმის მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ლიტერატორები შექმნიან ჩვენი გმირული დროის მართალ და ნიჭიერ, მკაფიო და ამაღლებულ მხატვრულ მატიანეს. საბჭოთა ლიტერატურის ძალებისადმი, ჩვენი მწერლების ნიჭიერებისადმი ულრმესი რწმენა გამოხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო მოხსენებაში XX ყრილობისადმი: „**ჩვენი ქვეყნის ხელოვნებასა და ლიტერატურას შეუძლიათ მიაღწიონ და უნდა მიაღწიონ იმას, რომ მსოფლიოში პირველნი გახდნენ არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული ძალითა და ოსტატობითაც**".

სწორედ ამ მიზნის მიღწევას უნდა მიეძღვნას საბჭოთა მწერლების შემოქმედება!



ამხანაგ ფროლ რომანის-ძე კოზლოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მოგესალმებიან თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცნობილ მოღვაწეს, თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ფროლ რომანის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად, დაჯილდოვდეს ამხანაგი ფროლ რომანის-ძე კოზლოვი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 16 აგვისტო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო, სულითა და გულით გიძღვნით მადლობას თქვენი მხურვალე მოლოცვისა და სურვილებისათვის, რომლებიც შემომითვალეთ ჩემი ორმოცდაათი წლისთავის გამო.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ გამოვთქვა მისწრაფება დაუცხრომლად ვიმუშაო ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის, ჩვენი დიადი საქმის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

კივუ სტოიკა,
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ბუქარესტი, 1958 წლის 16 აგვისტო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ტოკიოში მიმდინარეობს.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებულმა ინტერვენციამ ლიბანისა და იორდანიის ხალხთა წინააღმდეგ შექმნა მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ატომური ომი. საერთაშორისო ვითარების სერიოზულობა, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ყველასაგან, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები, მოითხოვს დარაზმონ თავიანთი ძალები, რათა აღკვეთონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესია არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, მიაღწიონ ინტერვენტთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და აღკვეთონ ომის კატასტროფა.

მასობრივი მოსპობის ატომგულის იარაღის აკრძალვის მიღწევა, ნათქვამია მისალმებაში, მით უფრო აქტუალური ამოცანაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდა კვლავ უქმნის საფრთხეს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მისალმება ღრმა თანაგრძნობას უცხადებს იაპონიის გემების „ტაკუის", „საცუმას" და სხვა გემების ეკიპაჟთა წევრებს, რომელნიც ამას წინათ დააზარალა ამერიკის ატომგულის ბომბების გამოცდამ.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, ვერაფერი ვერ გაამართლებს იმას, რომ სხვა სახელმწიფოებმა უარი თქვან ასეთი გამოცდის შეწყვეტაზე.

არ შეიძლება აგრეთვე კონტროლის პრობლემა დავსახოთ შებრკოლების ლოდად, რადგან კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირი არა მარტო კონტროლის წინააღმდეგი არ არის, არამედ, პირიქით, მან გამოიჩინა ინიციატივა, წამოაყენა რა კონკრეტული წინადადება ატომგულის იარაღის საცდელ აფეთქებათა შეწყვეტისადმი კონტროლის სისტემის შესახებ. (საკდესი).

მეტი ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეტებით

ოჩხამურის სტალინის სახელობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშის, მოსამსახურისა და სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საწარმოო დავალების — ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მტკიცე ბრძოლაში წელს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ კარგ შედეგებს მიაღწია. 10 აგვისტოსათვის საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 4.090 კილოგრამი ფოთოლი.

გაეცნო რა აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვას, ჩვენმა კოლექტივმა მოიწონა აფხაზეთის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა პატრიოტული თაოსნობა. გამოვიანგარიშეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, ჩვენი მხრივ ვალდებულებას ვკისრულობთ წლიური გეგმის გადამეტებით მოვკრიფოთ 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, პირველი ხარისხით ჩავაბაროთ სულ მცირე 74 პროცენტი. გადიდებული ვალდებულების შესრულებისას ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოსავლიანობა წელს 5.550 კილოგრამი იქნება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.925 კილოგრამისა.

ჩვენმა მოწინავე აგრონომებმა, აგროგანყოფილებათა უფროსებმა, აგროტექნიკოსმა-ბრიგადირებმა თავიანთი კოლექტივების სახელით იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი: მესამე განყოფილების უფროსმა აგრონომმა მ. ებანოიძემ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 55 ტონა ჩაის ფოთოლი; ამავე განყოფილების საუკეთესო აგროტექნიკოსმა-ბრიგადირმა, 1958 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ რ. ხალვაშმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 14 ტონა; მეექვსე აგროგანყოფილების უფროსმა აგრონომმა პ. თავართქილაძემ გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 65 ტონა, ხოლო ამავე განყოფილების ბრიგადირმა ვ. ტერნიუკმა პირობა დადო გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 15 ტონა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს საბჭოთა მეურნეობის დანარჩენმა ოთხმა აგროგანყოფილებამაც, მათმა აგროტექნიკოსმა-ბრიგადირებმა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის ყველა მკრეფავმა.

საბჭოთა მეურნეობის მოწინავე აგროტექნიკოსმა-ბრიგადირებმა 1 აგვისტოსათვის უზრუნველყვეს მაღალი მოსავლიანობის მიღება. მაგალითად, აგროტექნიკოს რ. კაკალაძის ბრიგადამ 14,04 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 5.085 კილოგრამი მიიღო. მან ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 11 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ ვალდებულების შესრულებისას მისი პლანტაციის მოსავლიანობა ჰექტარზე 6.500 კილოგრამამდე გადიდდება. დარია პავლიშინას ბრიგადამ 15,51 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4.150 კილოგრამი ფოთოლი. აგროტექნიკოს შ. სანიკიძის ბრიგადამ 16,15 ჰექტარი პლანტაციის ყოველ ჰექტარზე მოკრიფა 4.337 კილოგრამი ნედლეული.

გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მეურნეობის მიერ გადიდებული ვალდებულების შესრულებისას ზეგეგმითი მოგება ერთი მილიონი მანეთი იქნება, ხოლო ცენტნერი ნედლეულის თვითღირებულება 13 მან. 08 კაპიკით შემცირდება.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს შეგნებული აქვს, რომ ნაკისრი გადიდებული ვალდებულება ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს. ჩვენ სერიოზული მუშაობა მოგველის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშას, სპეციალისტსა და მოსამსახურეს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და უზრუნველყონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის თაოსნობას რესპუბლიკის ყველა ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი გამოეხმაურება. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების მომარაგება ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაით.

მიმართვა განხილული და მიღებულია ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

საერთო კრების დავალებით მიმართვას ხელს აწერენ: ი. ფუტკარიძე — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მ. დიდენკო — პარტორგანიზაციის მდივანი, ქ. სობოლევი — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ალადაშვილი — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ს. გოლიაძე — საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, რ. კაკალაძე, დ. პავლიშინა — ბრიგადირები, ა. ბონდარენკო, ე. ველიჩინსკაია — მკრეფავები და საბჭოთა მეურნეობის სხვა მუშაკები.

სიჭაბუკის, ძლიერებისა და სილამაზის ზეიმი

გაიხსნა მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა

დიდი სპორტული დღესასწაული — სიჭაბუკის, ძლიერებისა და სილამაზის ზეიმი — მხოლოდ ასე შეგვიძლია ვუწოდოთ მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთ მასობრივ და მამზიდველ ასპარეზობას — მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადას.

ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა ეს წარმტაცი დღესასწაული ტრადიციული გახდა. მას ახალგაზრდობასთან ერთად საბჭოთა ხალხი მეხუთეჯერ ზეიმობს. სასიხარულო და საამაყოა მოპოვებული შედეგები, სპორტული მაჩვენებლები, რომლებიც ცხადყოფენ წლიდან წლამდე სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებში გაწეულ შემოქმედებითს და ნაყოფიერ შრომას.

მოსწავლეთა V სპარტაკიადა გამოირჩევა არა მარტო დღემდე გამართულ სპორტულ შეხვედრათა შედეგებით, არამედ უპირველეს ყოვლისა მასობრიობით, შესანიშნავი ორგანიზებულობით. თუ შევაჯამებთ სასკოლო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებში მონაწილეთა რიცხვს, იგი 12 მილიონს აღემატება.

თბილისის სასპორტო ბაზებზე შეუპოვარი ბრძოლები არ დამცხრალა. დილით თუ საღამოს აქ მიმდინარეობს წარმტაცი ასპარეზობები, მაგრამ სპარტაკიადის საზეიმო გახსნა თვითეული მოსწავლისათვის, სპორტსმენისათვის სასიხარულო მოვლენა იყო.

აი ეს დღეც — 17 აგვისტო. თბილისი, „დინამოს" სტადიონი.

ლამაზად გამოიყურება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალური სასპორტო ნაგებობა — „დინამოს" სტადიონი. მის იარუსებზე ამაყად ფრიალებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები, წითელ ტილოებზე ვკითხულობთ წარწერას — სალამი მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს! ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები ამშვენებენ სასპორტო ბაზის მიდამოებს.

18 საათია. ორკესტრის მარშის ხმა გვამცნობს საზეიმო ცერემონიალის დაწყებას. სტადიონის სამხრეთ ტრიბუნის შემოსასვლელთან გამოჩნდა მედროშეთა დიდი კოლონა. მას მოჰყვებიან გასულ სპარტაკიადაში გამარჯვებული მოსკოველი გოგონები და ჭაბუკები, უკრაინის, რსფსრ, შრომითი რეზერვების, ლენინგრადის, ესტონეთის, ბელორუსიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, ლატვიის, სომხეთის, ყირგიზეთის და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. მასპინძლები — საქართველოს გოგონები და ჭაბუკები, რომლებმაც მოსწავლეთა IV სპარტაკიადაში მესამე საერთო გუნდური საპატიო ადგილი მოიპოვეს, კოლონათა ჩამკეტი არიან.

სტადიონის ტრიბუნებზე ერთსულოვანი ტაში მოისმა. მოსწავლეთა დღესასწაულს ახალგაზრდებთან ერთად ეგებებიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები. სპორტსმენთა დელეგაციები დასავლეთ ტრიბუნის წინ განლაგდნენ. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. დანილოვა. შემდეგ მიკროფონთან მიდიან საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ზემანი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. კვაჭაძე. ისინი მოსწავლეებს ულოცავენ დღესასწაულის გახსნას და უსურვებენ ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და სპორტში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მხურვალე, ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ ცხრება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სადიდებლად.

გასულ სპარტაკიადაში გამარჯვებულებს, მოძმე რესპუბლიკათა საუკეთესო წარმომადგენლებს მწყობრი ნაბიჯით მიაქვთ ალამი ასამართავად. დიდებულად ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა გახსნილია!

კვლავ საზეიმო მარშის ხმა. მოსწავლე სპორტსმენთა კოლონები მწყობრად, ლამაზად ჩაუვლიან მთავრობის ტრიბუნას. თბილისის მშრომელები გულთბილად აცილებენ მათ.

„ბ" კლასის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების — თბილისის „ბურევესტნიკისა" და ქუთაისის „ლოკომოტივის" მატჩის შესვენების დროს მოეწყო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა ასპარეზობები.

ხარბენ ბილიკებზე გამოდიან სპრინტერები. სტარტიორის დამბაჩის ხმაზე ადგილს მოსწყდნენ 100 მეტრზე რბენის ფინალში მონაწილე გოგონები. დისტანციაზე მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. ფინიშის ზოლი მკერდზე გ. ციაზანკინამ აიკრა. მან მანძილი დაფარა 12,7 წამში და პირველი ადგილი დაიკავა.

საინტერესო და მიმზიდველი იყო ჭაბუკთა ბრძოლა. იგი დამთავრდა საქართველოს წარმომადგენლის ა. ბედუკაძის გამარჯვებით (10,9 წამი). ა. ბედუკაძე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე რბენაში.

სპარტაკიადა გრძელდება.

მოსწავლეთა V სპარტაკიადის გახსნა თბილისის „დინამოს" სტადიონზე. **სურათზე:** მარცხნივ — ალამის აღმართვა, მარჯვნივ — სპორტსმენთა პარადი.

მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი

★ ★

კისრულობენ ახალ ვალდებულებებს

ბათუმი. (საქ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღმავლობა გამოიწვია აფხაზეთის მეჩაიეთა თაოსნობამ. აჭარაში გულდასმით განიხილავენ აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებას და კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს. 14 აგვისტოსათვის უკვე მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 18.500 ტონამდე ჩაის ფოთოლი. ამავე რიცხვისათვის ქობულეთელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმა 81,2 პროცენტით შეასრულეს.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, აჭარის მეჩაიეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მახარაძელ და აფხაზეთის მეჩაიეებთან და გადაწყვიტეს წლის გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. მათ შორის ქობულეთელ მეჩაიეთა ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.500 ტონა ჩაი.

აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდების პასუხად აჭარაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ყოველდღიურად ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება, მისცენ სამშობლოს მეტი ქართული ჩაი.

მის მაგალითს სხვებიც ბაძავენ

მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ" მშრომელებში ელიკო ბაკურაძე დიდი პატივისცემით სარგებლობს. მისი ოჯახი აქ მაღალმთიანი სვანეთიდან ჩამოსახლდა. ელიკომ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

პატარა ელიკოს ჩაის პლანტაციებში მუშაობა მოწინავე მერგოლურმა შუშანა მექვაბიშვილმა შეაყვარა. ელიკომ სკოლიდან თავისუფალ დროს 1956 წელს 2.690 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, შარშან — 3.160 კილოგრამი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ელიკო კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ. მიჩენილი აქვს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია; შრომაში დახელოვნებული გოგონა თვალისჩინივით უვლის პლანტაციებს. 14 აგვისტომდე 4.250 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, წლიური გეგმა კი 3 ათასი კილოგრამია. ერთ ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს კიდევ მოვკრეფ — განაცხადა ელიკომ, როცა აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებას გაეცნო. ელიკოს მაგალითს სოფელში ბევრი ბაძავს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დარჩნენ ცისანა ლომაძე, ზინა სარიშვილი, ბათურ კილაძე, ქეთო სურგულაძე და სხვ.

გ. გურაკოვი,
მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ" პარტბიუროს მდივანი.

მხურვალე მხარდაჭერა

წალენჯიხა. (საქ. კორ.). აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვამ ფართო გამოხმაურება და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებში. სოფელ ობუჯის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებს მიმართვის ტექსტი გააცნო არტელის თავმჯდომარემ შ. გეთიამ. სახელგანთქმულმა მეჩაიემ ა. სარიამ განაცხადა:

— რვა წელია ვმუშაობ ჩაის პლანტაციებში. ჩემთვის მომაგრებულ 0,4 ჰექტარზე ყოველწლიურად 3 ათას კილოგრამ ხარისხოვან ფოთოლს ვკრეფ. მაგრამ ეს მაჩვენებელი აღარ მაკმაყოფილებს და წელს მას 1.000 კილოგრამით გავზრდი. არ ჩამოვრჩები აფხაზეთის მოწინავე მეჩაიეებს.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეჩაიეებმა შურა შენგელიამ, ლუბა მარღიამ, ა. გიგიბერიამ და სხვ. ობუჯელი მეჩაიეები სეზონში გეგმის გადამეტებით მრეწველობას ჩააბარებენ 50 ტონა ხარისხოვან მწვანე ფოთოლს.

ამდენივე ფოთოლს მისცემენ სამშობლოს გეგმის გადამეტებით სოფლების ლიისა და ნაკიფუს შეროზიას სახელობის კოლმეურნეობები. ჯვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კი გეგმის გადამეტებით 30 ტონა ფოთოლს მოკრეფენ.

— წლიური გეგმის გადამეტებით მოვკრეფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 660 ტონა ფოთოლს, 3 ათას კილოგრამამდე ავიყვანთ ჩაის მოსავლიანობას ჰექტარზე, — ასეთი პირობა დადეს წალენჯიხელმა მეჩაიეებმა და გააძლიერეს მუშაობის ტემპი, რათა ვალდებულება პირნათლად შეასრულონ.



ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. მექსკავატორე ხ. ლეონოვი და მისი თანაშემწე პ. ემკუჟევი აწარმოებენ ექსკავატორის პროფილაქტიკას.
ფოტო თ. არჩვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სიახლე ავტოსარემონტო ქარხანაში

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ეს განაპირობა წარმოებაში სიახლის გაბედულმა დანერგვამ. წინათ ქარხანაში ვიწრო უბნად ითვლებოდა დამშლელი საამქრო, რაც ხშირად საფრთხეს უქმნიდა გეგმების შესრულებას. რეკონსტრუქციის შემდეგ საამქროში დაინერგა ავტომანქანების დაშლის ნაკადური მეთოდი, რაც კარგ ეკონომიურ და საწარმოო ეფექტს გვაძლევს. ავტობუსების საამქროში წარმატებით მუშაობენ „ზილ"-155 და „გაზ"-651 მარკის ავტობუსების კაპიტალურად შეკეთების ნაკადური ხაზები, სადაც ბევრი საწარმოო პროცესი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. ძრავების შეკეთების ნაკადურ ხაზში, ძრავების მშრალი კარტერით გამოცდის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი ხარისხი და შრომის პირობები.

ცნობილია, რომ შიდაწვის ძრავების შემწოვი და გამომშვები კოლექტორების შიგნითა კედლებზე დაგროვილი ფისისებრი მასა მნიშვნელოვნად ამცირებს მათი მუშაობის ეფექტს. მანქანების არაწესიერი ექსპლოატაციის გამო კოლექტორები იმდენად ივსება ფისისებრი მასით, რომ ხშირად ძრავი სიმძლავრის 25-30 პროცენტს კარგავს. კოლექტორების მექანიკური წესით გაწმენდა ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია, ხოლო ქიმიურად გასუფთავება ართულებს პროცესს და აძვირებს პროდუქციას. ჩვენ კოლექტორების გასაწმენდად გამოვიყენეთ გამოწვის მეთოდი. სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ მაღალ ტემპერატურაზე გამოწვა ქმნის ამ რთული დეტალის დეფორმირებისა და ნაპრალების წარმოქმნის საფრთხეს, დაბალ ტემპერატურაზე გამოწვისას კი კიდილზე მიწებებული ფისისებრი მასა მთლიანად არ იწვის. ტემპერატურის ზუსტი რეგულირების მიზნით ნოვაწყეთ სპეციალური ელექტროღუმელი, რამაც წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა.

ელექტროშედუღების დღემდე ცნობილი მეთოდებით შეუძლებელი იყო მანქანათა გაცვეთილი დეტალების აღდგენა, ამიტომ, ავტომანქანების ისეთი რთული დეტალები, როგორიც არის მაგალითად მუხლა, მუშტა და კარდანული ლილვები, გაცვეთის შემდეგ ჯართში ბარდებოდა.

ქარხნის კოლექტივმა სითხეში ელექტროიმპულსური დადუღების მეთოდის გამოყენებით აითვისა გაცვეთილი მუხლა ლილვების აღდგენა. ტექნიკური მონაცემებით ამ მეთოდით აღდგენილი მუხლა ლილვები ახალს არ ჩამოუვარდება.

რამდენიმე თვის წინ ქარხანაში ჩამოყალიბდა კაპრონის დეტალების დამამზადებელი საწარმოო უბანი. აქ კაპრონის ბოჭკოს ნარჩენებისაგან ყოველთვიურად მზადდება ათასობით სხვადასხვა სახელწოდების დეტალი — რესორებისა და ამორტიზატორების მილისები, სიჩქარის კოლოფის გადამრთველი ბერკეტის სახელურები, კაბინის კარების სახელურები და სხვ. ქარხნის მიერ შეკეთებულ ავტომანქანებზე კაპრონის დეტალების ნომენკლატურა დღითიდღე იზრდება. ქარხანა იარაღდება ახალი მოწყობილობით, რაც კიდევ უფრო სრულყოფს კაპრონის დეტალების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს, მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გააუმჯობესებს დეტალების ხარისხს.

გ. კოკაროშვილი,
თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მთავარი ტექნოლოგი.

ფელეტონი

მზითვიანი ქორწილი

ღია ვარდისფერ ოვალში დახატულია ორი მოლუღუნე მტრედი. ვაჟი და ქალი. ვარდისფერი მტრედების ქვემოთ კი ასეთი წარწერაა:

„საქორწილო მოწვევა. პატივცემულო ამხანაგო! გთხოვთ მობრძანდეთ ამა თვის 11-ს 9 საათისათვის ჩვენი შვილების — იაშას და ილის შეუღლებაზე.

პატივისცემით მშობლები: დ. ა. კონტუაშვილი და ლ. დ. კოგანი. ქ. ფოთი, ჯორჯიაშვილის ქ., № 27".

მაგრამ სანამ ქორწილს გადაიხდიდნენ, სახელდობრ ქორწილამდე ორი თვით ადრე, იქვე, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, № 27, გაიმართა ზემოხსენებულ მშობელთა საზეიმო შეხვედრა ქორწინების სტატუტის განსაზღვრის მიზნით. შეხვედრის მონაწილე მაღალმა მხარეებმა დადეს შეთანხმება, რომელიც სულ ორი პუნქტისაგან შედგება:

1. თავი არ შევირცხვინოთ სამტრედის წინაშე.
2. შურდეს სოხუმს.

ქორწილის მხიარულმა ხმაურმა ფოთიდან სოხუმამდე რომ მიაღწიოს, ბლომად ფულია საჭირო. სად იშოვონ?

— ნუ წუხდებით, — უთხრეს მომავალ ნეფე-დედოფალს № 1 მამიკომ და № 2 მამიკომ.

კარგი, ვთქვათ, სადილისა და მუსიკისათვის ფული იქნება, მაგრამ სტუმრები სად მიიღონ? ფოთი პატარა ქალაქია, და ყველა მისი ღირსშესანიშნავი შენობა რაიონული მასშტაბის საჭიროებებისათვის არის გაანგარიშებული. ყველაზე დიდ სამწვადეში ასიოდე კაცი დაეტევა, რესტორანის საბანკეტო დარბაზში — ორასი.

— ხომ არ დავიქირავოთ საქორწილოდ ქალაქის თეატრის შენობა? — შეიტანა წინადადება № 1 მამიკომ.

— ქალაქის საბჭოში წავიდეთ? ვთხოვოთ, თავი დავიმციროთ? — თქვა № 2 მამიკომ. — არა და არა!

და აი იმავე ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, № 2 მამიკოს საკუთარი სახლის გვერდით, სასწრაფო წესით დაიწყო სპეციალური საქორწილო პავილიონის აგება. აღსანიშნავია, რომ, შორეულ წარსულშიც კი სამეფო გვარეულობის ყველა წევრი როდი აძლევდა თავს ასეთი ფუფუნების ნებას. პავილიონი ერთი ღამით, მხოლოდ საქორწილო ლხინისათვის! უკანასკნელი, ვინც თავის თავს ასეთი მშენებლობის ნება მისცა, იყო ერთ-ერთი ლუი მე — ... მეტე, რომელმაც სპეციალური ვერანდა აგო თავისი ქორწილისათვის ტიულრიში თუ სენ-კლუს სასახლეში. მაგრამ ლუი მეფეები საერთოდ ქარაფშუტობით განირჩეოდნენ, და ყველამ იცის, რა ცუდი იყო მათი ბოლო.

მაგრამ ცუდმა ბოლომ ვერ შეაჩერა ფოთელი მამიკოები, და შეჯიბრება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მამიკოები ლუი მეფეებს ბრმად როდი ბაძავდნენ. ბურბონთა გამოცდილების ათვისება შემოქმედებითად ხდებოდა. სენ-კლუს ვერანდა მორთული იყო გობელენებით, მამიკოებმა კი თავიანთი პავილიონის კედლებზე ხალიჩები გააკრეს. ლუი მეფეს ვარდები უყვარდა, მამიკოებმა კი თავიანთ ბაღში პალმების ხეივანი გააშენეს.

მაგრამ აი, ბოლოს, მშენებლობა დამთავრდა. საქორწილო მისაწვევი ბარათები დაგზავნილია. დადგა შეუღლების დიდიხნის ნანატრი დღე. № 1 მამიკო სამზარეულოში მზარეულთა და მერიქიფეთა მთელ ოცეულს ხელმძღვანელობს. საშწვადედ ცხვრები იკვლება. ქათმები ქვაბებში დუჟინობით მიდის. დესერტისათვის ხილს ფუთობით ეზიდებიან. ღვინოს მაგიდებთან კასრებით მოაგორებენ. გვიყურე, სამტრედია, და შურით აღივსე.

ხოლო № 2 მამიკო სტუმრებს ჭიშკარში ხვდება. ხელს ართმევს, უღიმის მათ:

— გთხოვთ მობრძანდეთ ჩემს ქოხში.

ქოხში კი ორკესტრები გუგუნებენ. სენ-კლუში ერთი ორკესტრი იყო, აქ კი სამია. სასულე, აღმოსავლური, ჯაზი. მუსიკა გნებავთ? — ინებეთ. ყველა გემოვნებისათვის გვაქვს. ლეკურიდან ბუგი-ვუგიმდე.

მაგრამ აი სტუმრები მაგიდებს მოუსხდნენ და პირველ სადღეგრძელოს ელიან, რომ ღვინოებისა და სანოვაგის დეგუსტაცია დაიწყონ. სადღეგრძელო კი არ ისმის. მაგიდის მთავარ ადგილზე რადიომიკროფონი წამოჭიმულა, ხოლო თვითონ თამადა მ. დავარაშვილი არსად არის. სტუმრები თამადის მოადგილეებს ეძებენ. არც ისინი ჩანან.

— რა მოხდა? სად არის თამადა?

მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. № 27 მაღაზიაში მოულოდნელად გამოცხადდნენ საზოგადოებრივი კონტროლიორები და გამოარკვიეს, რომ მაღაზიის დირექტორი, იგივე თამადა მ. დავარაშვილი, იაფფასიან გაბარდინს ძვირად ჰყიდის და მეტრზე ას მანეთს იჯიბავს. სწორედ იმ დროს, როცა კონტროლიორები თამადას აქტს უყენებენ, № 17 მაღაზიის დირექტორი კ. გუნია, რომელიც საქორწილო მაგიდაზე მისი პირველი მოადგილეა, წყვილ ქალის ტუფლს 160 მანეთის ნაცვლად 245 მანეთად ჰყიდიდა. უცოდველი არც თამადის მეორე მოადგილე — № 36 მაღაზიის დირექტორი ნ. ბარამია აღმოჩნდა.

საზოგადოებრივი კონტროლიორები „ფოთვაჭრობის" უფროსთან ი. იზორიასთან მიდიან და ეუბნებიან, რომ მისდამი დაქვემდებარებული მაღაზიების დირექტორები შალეულს, ფეხსაცმელს, გალანტერიას უიარლიყოდ და უართიკულოდ ჰყიდიან.

— ეს გამოუცდელობით მოსდით, — ამშვიდებს იზორია საზოგადოებრივ კონტროლიორებს და მათ მიერ შედგენილ აქტებს მაგიდის ყველაზე შორეულ კუთხეში ჩაუძახებს.

ქორწილის თამადა და მისი ორი მოადგილე მადლობას უძღვნიან „ფოთვაჭრობის" უფროსს გულკეთილობისათვის და ჯორჯიაშვილის ქ. № 27 სახლში მიეშურებიან. აქ კი ლხინი გაჩაღებულია. თამადის მესამე მოადგილეს, აქვე უნდა ვთქვათ, აგრეთვე მაღაზიის დირექტორს, გ. სეფიაშვილს უკვე უამრავი სადღეგრძელო წარმოუთქვამს. უდღეგრძელებია ნეფე-დედოფალი, მათი დედიკოები და მამიკოები, ძმები, ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილები, ბიძები, დეიდები, მამიდები. დასასრულ, თამადის მესამე მოადგილემ სადღეგრძელოების წარმოთქმა დროებით შეწყვიტა და დაიწყო ნეფე-დედოფლისათვის თავგადასავლების მიღება.

— ვინ თხოულობს სიტყვას?

— ნება მიბოძეთ, — ამბობს დაგვიანებული მ. დავარაშვილი და დასძენს: — № 27 მაღაზიის სახელით ნეფეს თავგადასაგდებად ვუძღვნი საპალტოე გაბარდინს, არტიკული № 1508, მეტრის ღირებულება 430 მანეთი.

თამადის შემდეგ წინ წამოდგა მისი პირველი მოადგილე, შემდეგ მეორე...

— № 17 მაღაზიის სახელით... — № 36 მაღაზიის სახელით... — № 5 მაღაზიის სახელით... — ერთი მეორის მიყოლებით ლაპარაკობდნენ დირექტორები და ასახელებდნენ, თუ რას უძღვნიდნენ ნეფე-დედოფალს.

— ტრიკო ლუქსის ნაჭერი, არტიკული № 1302, მეტრის ღირებულება 472 მანეთი.

— ფაიდეშინის ნაჭერი დედოფალს...

— ნაჭერი ნეფეს...

და ყველგან მაღაზიების დირექტორები ასახელებდნენ არტიკულის ნომერს და მეტრის ფასს, რადგან № 1 მამიკო და № 2 მამიკო ისე გულუბრყვილონი როდი იყვნენ, როგორც „ფოთვაჭრობის" უფროსი, და ძვირი საქონლის ნაცვლად მათ იაფს ვერ შეატყუებდი.

მაგრამ აი შუა ლხინში მაგიდიდან გაისმა სტუმრების ხმები:

[illegible] ლებს?..

და მაშინ წამოდგა № 1 მამიკო და თქვა:

— მე დედოფალს ვუძღვნი ბრილიანტებით შემკულ ოქროს სამაჯურს.

ხოლო № 2 მამიკომ დასძინა:

— მე კი ნეფეს ვუძღვნი „პობედის" მარკის მსუბუქ მანქანას.

და აქ სამივე ორკესტრმა ერთბაშად ტუში დაიგუგუნა, სტუმრებმა „ვაშა" შესძახეს და ამ ქორწილის ხმაურმა, არათუ სოხუმამდე, არამედ მოსკოვამდეც მიაღწია.

ეს არის და ეს, რაც შეიძლება ითქვას ფოთში გადახდილ ქორწილზე. დაგვრჩენია მხოლოდ გამოვარკვიოთ და მკითხველებს ვაცნობოთ ზოგიერთი მონაცემები ორ მამიკოზე, რომლებმაც ასე იოლად და გრაციოზულად დახარჯეს ერთ ქორწილზე ასი ათას მანეთზე მეტი. ვინ არიან? საიდან შოულობენ ამ ათასებს?

ბ. ქ. დანელია, რომელმაც გამოგვიგზავნა წერილი ფოთში გადახდილი ქორწილის შესახებ, იყო ჯორჯიაშვილის ქუჩაზე № 27, სადაც № 2 მამიკო ცხოვრობს, და გამოარკვია, რომ № 2 მამიკო თურქეთის ქვეშევრდომის შვილი როდია და საზღვარგარეთიდან დიდი მემკვიდრეობა როდი მიუღია. № 2 მამიკო მხოლოდ „სამხედრო ვაჭრობის" მომარაგების აგენტია და თვეში 650 მანეთი ჯამაგირი აქვს.

— მაშ რა კაპიტალებით შეძლო პატარა აგენტმა მოეწყო ქორწილი ლუი მე-... მეტის ყაიდაზე?

ბ. ქ. დანელიამ ეს კითხვა მისცა „სამხედრო ვაჭრობის" ფოთის განყოფილების უფროსს გ. ქვარცხავას. და მან ასე უპასუხა:

— თვითონაც ვერ გამიგია! თვითონაც მიკვირს!

— დანელიას ბევრი კილომეტრის გავლა მოუხდა, რომ გამოერკვია მეორე მშობლის ვინაობა. ჰოდა, № 1 მამიკო კიდევ უფრო პატარა პიროვნება აღმოჩნდა, ვიდრე № 2 მამიკო. იგი ადგილობრივი მრეწველობის ბაგირის საამქროს მგრეხავად ირიცხებოდა საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში. მაგრამ ეს მგრეხავი რატომღაც ცხოვრობდა არა სოფელ სართიჭალაში, არამედ თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე № 29, ცხრაოთახიან საკუთარ სახლში. მაგრამ მგრეხავს ცხრა ოთახი არ ჰყოფნიდა და № 2 მამიკოსთან ერთად ასი ათას მანეთად კიდევ ვერანდიანი ორი ოთახი იყიდა.

— ეს ჩვენი ახლად შეუღლებული შვილების მზითევია.

მე მოსკოვიდან დავურეკე თბილისის კიროვის რაიონის სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის განყოფილების უფროსს მილიციის მაიორ გობეჯიშვილს და შევეკითხე:

— როდის დაიწყეს სოფლელმა მგრეხავებმა თავისი შვილებისათვის ასეთი მდიდარი მზითვის მიცემა?

და მილიციის მაიორმა იგივე მიპასუხა, რაც „სამხედრო ვაჭრობის" უფროსმა:

— თვითონაც ვერ გამიგია! თვითონაც მიკვირს!

იაშა კონტუაშვილისა და ილი კოგანის ქორწილზე რამდენიმე ასი სტუმარი იყო დაპატიჟებული. ბილეთები მიიღეს არა მარტო სავაჭრო ორგანოების მუშაკებმა, ბაზების, საწყობების გამგეებმა, მაღაზიების დირექტორებმა და სხვა მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა. რამდენიმე მისაწვევი ბილეთი გაქნილმა მშობლებმა ყოველი შემთხვევისათვის საქალაქო საბჭოსა და მილიციის მუშაკებსაც მიართვეს. დაპატიჟებულთა ამ ჯგუფიდან ქორწილზე არც ერთი არ წასულა. ტყუილად მოიქცნენ ასე. ჯორჯიაშვილის ქუჩაზე № 27 აუცილებლად უნდა წასულიყვნენ. რა თქმა უნდა, არა მისალოცავად, არამედ თუნდაც იმისათვის, რომ ენახათ, თუ რა კეთილდღეობასა და განცხრომაშია მილიციისა და პროკურატურის მუშაკების ცხვირწინ დიდი ჯგუფი გაქნილი და გაიძვერა საქმოსნებისა, რომლებიც ამ მუშაკებს რატომღაც ვერასგზით ვერ შეუმჩნევიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სიმ. ნარინიანი.
„პრავდა", 17-VIII.

პარტიულ თემაზე

პარტიული აპარატის გარდაქმნის შემდეგ

◆

პარტიის სასოფლო რაიკომის მუშაობის გამოცდილებიდან

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებამ სოფლის მეურნეობის დარგში მოითხოვა პარტიის სასოფლო რაიკომების აპარატის ახლებურად გარდაქმნა, მისი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, შინაპარტიული დემოკრატიისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივის განვითარება.

რაიონული პარტიული აპარატისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ორგანიზაციული წყობის გარდაქმნამ დიდი დადებითი როლი შეასრულა. გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, გაძლიერდა პოლიტიკური მუშაობა მასებში.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე პრაქტიკისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას, ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

მოვიყვან რამდენიმე მაჩვენებელს, რომლებიც ცხადყოფენ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას.

			მიღებულია 100 ჰექტარ სავარგულებზე	
	1953 წ.	1957 წ.	1954 წ.	1957 წ.
რძე ერთ ძროხაზე (ლიტრობით)	501	1.352,8	1.851	5.158
ხორცი (ცენტნერობით)	—	—	11	26
მათ შორის ღორის ხორცი (ცენტნერობით)	—	—	2,2	4,1
მატყლი ერთ ცხვარზე (კილოგრამობით)	2,1	2,9	196,2	245
კვერცხი ერთ ქათამზე (ცალობით)	61	90	2.607,2	5.852

რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული და სამეურნეო მუშაობისადმი.

ძველი სტრუქტურის პირობებში იშვიათი როდი იყო ისეთი შემთხვევები, როცა პარტიული აპარატის მუშაკებმა არ იცოდნენ ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავ-კარგი, უშვებდნენ შეცდომებს საწარმოო საკითხების გადაწყვეტის, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეული იყო რაიკომის აპარატის ფუნქციონალური დანაწილებით. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები მხოლოდ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ და უმთავრესად სამეურნეო საკითხებით იყვნენ გატაცებულნი, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა კი მეორე პლანზე იყო გადაწეული.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება მასობრივ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დარგში ძირითადად უხდებოდათ საორგანიზაციო და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს, რომლებიც თავის მხრივ „უწყებრივად" უდგებოდნენ პარტიული მუშაობისადმი ხელმძღვანელობას.

საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორები პარტიულ ორგანიზაციებში მისვლისას ინტერესს იჩენდნენ მხოლოდ პარტიული კრებების მომზადება-ჩატარების, ოქმების გაფორმების, პარტიული საწევრო შესატანების აკრეფის მდგომარეობისა და შინაპარტიული მუშაობის კიდევ ზოგიერთი სხვა საკითხისადმი. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები ცალმხრივად სწავლობდნენ მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

ინსტრუქტორთა მუშაობას ისიც ართულებდა, რომ საორგანიზაციო განყოფილების თვითეული ინსტრუქტორი ემსახურებოდა 32-33-ს, ხოლო პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი—65 პირველადს პარტორგანიზაციას. ასეთი მდგომარეობა იმას იწვევდა, რომ ინსტრუქტორები, რომლებიც იშვიათად მიდიოდნენ ადგილებზე, საჭირო დახმარებას ვერ უწევდნენ მუშაობაში პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს. ინსტრუქტორებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ პარტიულ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობისათვის.

განყოფილებები რაიკომის აპარატში წარმოადგენდნენ ბარიერს ინსტრუქტორებსა და რაიკომის მდივანს შორის. ადგილებზე შესწავლილი ამა თუ იმ საკითხის მასალები ინსტრუქტორებს განყოფილების გამგესთან მიჰქონდათ, ეს უკანასკნელი კი საქმის მდგომარეობას რაიკომის მდივანს ან რაიკომის ბიუროს მოახსენებდა. ასეთ პირობებში იშვიათი არ იყო ისეთი შემთხვევები, როცა ცალკეულ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობა რაიკომის ბიუროს არასრულყოფილად, ან კიდევ არასწორად ხსნდებოდა.

რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის, კერძოდ, განყოფილებების გაუქმების შემდეგ თვითეული ინსტრუქტორი მიმაგრებულ იქნა 6-10 პარტიულ ორგანიზაციაზე. ინსტრუქტორები თავიანთი მომსახურების პარტორგანიზაციებში სრული პასუხისმგებელი არიან როგორც პარტიულ-პოლიტიკური, ისე სამეურნეო საქმიანობისათვის. მათ ცალკეული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის საშუალება მიეცათ. გრძნობენ რა პასუხისმგებლობას მათთვის მიმაგრებული პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის, ისინი ხშირად არიან ადგილებზე და პრაქტიკულად ეხმარებიან პარტორგანიზაციების მდივნებს მუშაობის უკეთ მოწყობაში.

ინსტრუქტორთა მუშაობისათვის რაიკომის მდივნების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით განაწილდა ამ უკანასკნელთა ფუნქციები. მთელი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისრა რაიკომის პირველ მდივანს.

პარტიულ-ორგანიზაციული ხასიათის ისეთ საკითხებს, როგორიც არის პარტიაში მიღება და კადრებთან მუშაობა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგების რაიონული თათბირ-სემინარების ჩატარება და სხვ., წყვეტს რაიკომის მეორე მდივანი ინსტრუქტორთა მონაწილეობით.

პრაქტიკაში დავნერგეთ ინსტრუქტორთა ყოველკვირეული თათბირების მოწვევა რაიკომის პირველ მდივანთან. ამ თათბირებზე ვისმენთ თვითეული ინსტრუქტორის მიერ ერთი კვირის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს და ვაძლევთ მათ კონკრეტულ დავალებებს შემდგომი მუშაობისათვის.

რაიკომის აპარატის მუშაობაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარებს, რომლებიც ყოველთვიურად იმართება. თათბირებზე მოხსენებებით გამოდიან რაიკომის მდივნები და ინსტრუქტორები, ხოლო მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით ვისმენთ ცალკეული პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიშს.

ყოველთვიურად ვადგენთ რაიკომის ბიუროს სამუშაო გეგმას, რომელიც პარტიული მუშაობის ყველა უბანს მოიცავს. გეგმის მიხედვით საკითხებს ძირითადად ინსტრუქტორები ამზადებენ და მოხსენებითაც თვითონვე გამოდიან ბიუროს სხდომებზე.

აპარატის ახალი სტრუქტურით მუშაობის პერიოდში რაიკომის ბიუროს მიერ განხილულია პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული ხასიათის 64 საკითხი, გაცილებით მეტი, ვიდრე ძველი სტრუქტურით მუშაობისას. ასევე გაუმჯობესდა პარტიაში მიღებისადმი და პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობისადმი ხელმძღვანელობა. პარტიის რიგებში მიღებულია რამდენიმე ათეული ამხანაგი, რომელთა უმრავლესობა მუშები და კოლმეურნეებია.

გაუმჯობესდა პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობა. პარტიული განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის დასაწყისში დაშვებული იყო შეცდომები წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებაში. ინსტრუქტორებმა თავიანთი მომსახურების პარტორგანიზაციებში პოლიტსწავლების გაუმჯობესების მიზნით წამოაყენეს მრავალი წინადადება, რომლებსაც რაიკომის ბიურომ მხარი დაუჭირა. ახალი სასწავლო წლისათვის რაიონში წრეებისა და სკოლების რიცხვი ოცდასამით გაიზრდება. პროპაგანდისტებად შერჩეული არიან მომზადებული, კვალიფიციური ამხანაგები.

განხორციელდა ღონისძიებანი აგიტკოლექტივების მუშაობის გასაუმჯობესებლად. შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთ პარტორგანიზაციაში აგიტკოლექტივები ფორმალურად არსებობდნენ. ინსტრუქტორთა აქტიური მონაწილეობით ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია.

ინსტრუქტორი მ. გუნჩენკო, რომელიც მიმაგრებულია 10 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაზე, კარგად იცნობს კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ხშირად არის ადამიანებთან, გულდასმით სწავლობს მათს შენიშვნებსა და წინადადებებს, ახდენს საჭირო რეაგირებას. წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც მ. გუნჩენკოს ერთ-ერთი ობიექტია, წლების მანძილზე ჩამორჩებოდა წველადობაში. ინსტრუქტორი დაინტერესდა ამ საკითხით და პარტორგანიზაციასთან ერთად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები. გამოირკვა, რომ მეძროხეობის ფერმაში მოუწესრიგებელი იყო შრომა, ადგილი ჰქონდა მწველავთა ხშირ დენადობას, არ ზრუნავდნენ აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, არარაციონალურად იხარჯებოდა არსებული საკვები. ნ. გუნჩენკომ პარტბიუროსთან ერთად მოამზადა და პარტიულ კრებაზე განსახილველად გამოიტანა აღნიშნული საკითხი. კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გამგეობას ურჩია ფერმის დაკომპლექტება საქმის მცოდნე და უნარიანი კადრებით.

პარტიული კრების დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი, ფერმა განმტკიცდა კომუნისტებითა და კომკავშირელებით, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, მოწესრიგდა აღრიცხვა, მტკიცედ დაინერგა პირუტყვის რაციონის მიხედვით კვება და ხბორების ასხლეტით გამოკვება. გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ყველა ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა წველადობა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ ბევრი რამ ახალი შეიტანა რაიონული პარტიული აპარატის მუშაობაში.

როგორც ცნობილია, ჩვენი რაიონის ცამეტივე კოლმეურნეობამ მტს-ების რეორგანიზაციის შედეგად სახელმწიფოსაგან მიიღო დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. კოლმეურნეობები მიწისა და ტექნიკის უშუალო პატრონნი გახდნენ. ახლა ისინი უფრო რაციონალურად იყენებენ ტექნიკას. წელს, წინა წლებთან შედარებით, ბევრად უკეთ ჩატარდა საგაზაფხულო სამუშაოები, მოსავლის აღება, ნათესების დამუშავება. ამ ღონისძიების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიკომის მუშაკებმა. მათ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს, საქმიანი დახმარება გაუწიეს პარტიულ ორგანიზაციებს მტს-ების რეორგანიზაციის დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

ახალი სტრუქტურით მუშაობის პირობებში გაიზარდა ინსტრუქტორთა პასუხისმგებლობა. ამიტომ ყოველმხრივ შევეცადეთ ავვემაღლებინა ინსტრუქტორის როლი, რომელიც წარმოადგენს ითავარ დამაკავშირებელ რგოლს რაიკომსა და პარტიულ ორგანიზაციას შორის. თუ ადრე ინსტრუქტორის როლი კონტროლით ამოიწურებოდა, ახლა მისი მოვალეობაა არა მარტო ნაკლოვანებათა გამოვლინება, არამედ ყოველდღიური დაძაბული მუშაობა მათი გამოსწორებისათვის. ამ მხრივ კარგად მუშაობენ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები ხუცურაული, ქავთარაძე, ბენაშვილი, შეთიშვილი და სხვები.

რაიკომის მუშაობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, დაწესებულია ბიუროს დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლისათვის პასუხისმგებლობა. ინსტრუქტორთა თათბირებზე ვისმენთ ინფორმაციას დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე და საჭირო შემთხვევაში საკითხს ვაყენებთ ბიუროს სხდომაზე განსახილველად. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ გაიზარდა პირველადი პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისადმი.

უკანასკნელ ხანებში რაიონში გაძლიერდა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა. პირველადი პარტორგანიზაციების ინიციატივით ხშირად ეწყობა კოლმეურნეთა ექსკურსიები რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა ფერმებსა და ბრიგადებში, საუბრები, ლექციები და მოხსენებები, ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაცია.

წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში ამჟამად დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თავდადებით შრომობენ მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, იმისათვის, რომ საქმით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები.

ნ. ჯავახიძე,
საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმში პუშკინის ქუჩაზე გაიხსნა ახალი კინოთეატრი.
სურათზე: ახალი კინოთეატრი „ბათუმი“.
ფოტო ა. ვიგნანსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. იგი არა მარტო წიგნებს აწვდის აკადემიის მეცნიერ თანამშრომლებს, არამედ თვითონაც ეწევა მეცნიერულ მუშაობას, აკომპლექტებს წიგნის ფონდს სამამულო და უცხოური მეცნიერული ლიტერატურით, ადგენს და აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს და მეთოდური ხასიათის ნაშრომებს. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აწყობს სემინარებს, კონსულტაციებსა და მეთოდურ საუბრებს.

ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ახალი ბეჭდვითი მეცნიერული ლიტერატურით გამდიდრებისათვის სისტემატურად წარმოებს ქართული, რუსული და უცხოური გამოცემების შეძენა, წიგნების გაცვლა და დაკვეთა. მაგალითად, შარშან მიღებულ იქნა 80.000-მდე ბეჭდვითი ერთეული.

ბიბლიოთეკის ხარვეზების შევსების მიზნით შეძენილ იქნა 580 ბუკინისტური წიგნი. მათ შორის აღსანიშნავია ზოგიერთი ძნელად ხელმისაწვდომი წიგნი, როგორიც არის კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი რუსული გამოცემა, ვასიმაის „ბერძნულ-რუსული ლექსიკონი“, „ძველი და ახალი აღთქმის სიმფონია“, ნ. მარის „სინას მთის სამეცნიერო ექსპედიციის წინასწარი ანგარიში“, „ესტატე მცხეთელის მარტვილობის“ გერმანული თარგმანი, შესრულებული აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის მიერ, დ. ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ და სხვ.

დღითიდღე იზრდება წიგნების საერთაშორისო გაცვლა. ამჟამად ბიბლიოთეკა გაცვლას აწარმოებს საზღვარგარეთის 240-ზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებასთან.

1957 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებს გაუგზავნა 2.040 წიგნი და ჟურნალი, ხოლო მათგან მიიღო 2.134 წიგნი და ჟურნალი. მიღებული უცხოური ლიტერატურიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები და ნარკვევები ქართველოლოგიის დარგიდან: ინგლისელი ორიენტალისტის დ. ლენგის შრომები: „ქართული ნუმიზმატიკის ისტორია“, „ძველ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებანი და ლეგენდები“, „ბალავარიანის“ ახალი აღმოსავლურ-ქრისტიანული ვერსია, ინგლისელი კრიტიკოსის კ. ბოვრას ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ინგლისელი ორიენტალისტის სტივენსონის წერილი „ვეფხისტყაოსანზე“, ჟურნალი „ორიენს ქრისტიანუს“ (ტ. 41) და ჟურნალი „ბიზანტინიშე ცაიტშრიფტ“ (ტ. 50), სადაც მოთავსებულია სტატიები ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე, ი. ნოლის „თბილისის ყვავილები“ (ქართული ეკლესიის ისტორიიდან), ქართული ხალხური ზღაპრები (ბულგარულ ენაზე), „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული თარგმანი და ა. შ.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკამ მიიღო უნიკალური ქართული ხელნაწერების მიკროფილმები: ბოდლის ბიბლიოთეკიდან ორი მიკროფილმი „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ხელნაწერებისა (ეს ხელნაწერები გადაწერილია XVII-XVIII საუკუნეებში და დაცულია მარჯორი უორდროპის არქივში), XVII საუკუნის ათი ქართული ხალხური ზღაპრის მიკროფილმი (ხელნაწერი დაცულია ნეაპოლის ბიბლიოთეკაში პატრ ბერნარდეს არქივში), ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული მ. უორდროპის მიერ (დაცულია მისსავე არქივში), კონგრესის ბიბლიოთეკიდან „ბალავარიანის“ არაბული ვერსიების მიკროფილმები, სერგი რეშაინელის „ტრაქტატი მიზეზთათვის“ (სრული ტექსტი), რომელიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, მინიატურული სახარება — ოთხთავი, გადაწერილი იერუსალიმის მახლობლად ჯვრის მონასტერში და სხვ.

წიგნის ფონდების უკეთ დაკომპლექტების მიზნით და აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი გამოკვლევების რაც შეიძლება სწრაფი გაზიარებისათვის ბიბლიოთეკა აწარმოებს შინაგან გაცვლასაც. მას დღემდე კავშირი აქვს 72 სამეცნიერო დაწესებულების ბიბლიოთეკებთან.

მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების თხოვნით ბიბლიოთეკამ დასაბეჭდად შეადგინა: „ქართული საბჭოთა არქეოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (1941-1955 წწ.)“.

ამ უკანასკნელ ხანებში ბიბლიოთეკამ მიიღო ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკიდან სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები. ამ ხელნაწერების უმრავლესობა VII-XII საუკუნეებს ეკუთვნის. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. ქართული ენისა და ისტორიის მკვლევარები დაძაბულ მუშაობას ეწევიან ამ კოლექციების ზოგიერთი ხელნაწერის შესასწავლად. სინას მთის ხელნაწერთა სრული აღწერილობა შეადგინეს აკადემიკოსმა ნ. მარმა და აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა, ხოლო იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა — ამერიკელმა მეცნიერმა რ. ბლეიკმა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ რ. ბლეიკის აღწერილობაში, რომელიც ფრანგულ ენაზეა გამოქვეყნებული, არ არის შეტანილი ყველა ის ცნობა, რაც იერუსალიმის ხელნაწერებშია დაცული მინაწერებისა და ანდერძების სახით. ამისათვის ბიბლიოთეკამ მიზნად დაისახა შეადგინოს და გამოაქვეყნოს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა სრული მეცნიერული აღწერილობა იმ მიკროფილმების მიხედვით, რომლებიც ხელთ გვაქვს.

ს. თურნავა.

უნგრეთი, მარგიტის კუნძული...

საქართველოს პირველი ახალგაზრდული დელეგაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება. სადგურში ხალხი ირევა. მეგობრებმა ხუმრობით ყვავილნარში მიწა ახვეტეს და ცხვირსახოცში გამოხვიეს. მატარებელი დაიძრა, გარბიან ხეები, სახლები, ბოძები.

სასაზღვრო ქალაქი ჩოპი... პირველი სადგური ზახონია. „სერვუს, მადიარ!“ (გამარჯობა, მადიარო!), „სერვუს, სერვუს!“... ჩავდივართ ბუდაპეშტში.

ლამაზია ბუდაპეშტი, დოჟა გიორგის ფართო მოედანი, უზარმაზარი ქანდაკებები, ყალყზე შემდგარი შავი ბრინჯაოს რაშები, სახალხო რესპუბლიკის პროსპექტი, უნგრეთის ოპერის თეატრი, გელერტის მთა, თავისუფლების ძეგლი, მდორე დუნაი და ბუდასა და პეშტის შემაერთებელი შვიდი ხიდი. უნგრეთის დედაქალაქის სიამაყეა ნაციონალური სტადიონი, რომელიც ასი ათას კაცს იტევს.

ბუდაპეშტში წმინდა მარგიტის კუნძულზე მოეწყო 1958 წლის მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობის თაობაზე ბევრი რამ ითქვა, ბევრი რამ დაიწერა. მე მხოლოდ ისეთი რამ მინდა გიამბოთ, რაც არ იცის იმ გულშემატკივარმა, რომელიც პირველობას კორესპონდენციებით ადევნებდა თვალს.

ყოველი დღე დაძაბული იყო. ძნელი წარმოსადგენია, რას განვიცდიდით საბჭოთა ქვეყნიდან ჩასულები, ამ შემთხვევაში კი ჩვენ — ქართველები. ფინალზე ძნელი აღმოჩნდა შესვლა. ბილეთები აღარ იყიდებოდა და მისი შოვნა ჩასული, უცხო კაცისათვის არცთუ ისე ადვილი იყო, მაგრამ გივი კარტოზიამ მოახერხა და მსოფლიო პირველობის მონაწილის ნიშნები გამოგვიტანა.

ვინაიდან არც ერთი ჩვენგანი მოჭიდავეს არა ჰგავდა, დავიბერეთ კისრის ძარღვები, პერანგები მაგრად ჩავიტანეთ შარვალში, უკან მოვიკრიბეთ ნაოჭები, რომ პერანგი ტანს კარგად შემოტმასნოდა, წინ წამოვწიეთ მკერდები, ღრმად ჩავისუნთქეთ ისე, რომ შესვლამდე აღარ ამოგვისუნთქავს, და საჭიდაო მოედანზე ამოვყავით თავი.

დაიწყო ჭიდაობა. კარგა ხანს ვუყურეთ ჩვენთვის მაინცდამაინც არცთუ ისე საინტერესო სპორტსმენთა ორთაბრძოლებს. ჩვენ ვინც გვაინტერესებდა, — გივი კარტოზია, როსტომ აბაშიძე და სხვები, გვერდით გვესხდნენ. გასმის დიქტორის ხმა — საჭიდაო ხალიჩაზე უხმობენ გ. კარტოზიას. მისი მეტოქე უკვე სარბიელის ერთ-ერთ კუთხეში იდგა, რვა ათასამდე მაყურებელი სახელმოხვეჭილი ქართველი მოჭიდავის გამოსვლას ელოდება.

გივიმ წინასწარ გვითხრა: საღამოს სამი ბრძოლა მაქვს ჩასატარებელი, ამიტომ ჰესთან შეხვედრა ორი ქულით უნდა მოვიგოო, მაგრამ იგი შეცდა, გაიმარჯვა სამი ქულით და ჩვენთან გულწრფელად ინანა — მესამე ქულა ჩემს უნებურად მომივიდაო.

მე ჯერ არ მინახავს თავის საქმეში დაჯერებული ისეთი კაცი, როგორიც გ. კარტოზიაა. რამდენადაც თავმდაბალია იგი მოედნის გარეთ, იმდენად ამაყი და თითქმის „თავხედია“ საჭიდაო ხალიჩაზე. მის ჭიდაობას ბევრი განიცდიდა. საბჭოთა მოჭიდავეების გარდა ღელავდა თურქ მოჭიდავეთა მთავარი მწვრთნელი თავდგირიძე. იგი ამბობდა: „ნენეს გეფიცები, ამნაირი მოჭიდავე მსოფლიოში არ არისო“.

როგორც კატა თაგვს, ისე ათამაშებდა კარტოზია გერმანელ მოჭიდავეს ჰესს.

— კვლავ გივი კარტოზია ჭიდაობს. მე ამ ბოლო მოწინააღმდეგის გვარი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ისიც გერმანელია. გივი კარტოზიამ თავიდანვე თავის სასარგებლოდ წარმართა ბრძოლა. მოწინააღმდეგის მარცხენა იღლიაში გაჰყო თავი, მარცხენა ხელით მაგრად შებოჭა იგი და თავიდან ბოლომდე უყურა გვერდით ხალიჩაზე სხვა წყვილის ჭიდაობას. ეს „თავხედობა“ არ გამორჩენია უნგრელ მაყურებელს. ატეხეს საოცარი სტვენა და კივილი. ჩვენ ვშიშობდით კარტოზიას რისკის გამო. დელეგაციის ერთი ზუგდიდელი წევრი ვეღარ ითმენდა და ადგილიდან გაჰყვიროდა: „რას შობა ეს კაცი, რას!“... გ. კარტოზიამ მეორე წყვილის ჭიდაობაც ასე ნახა და ბოლოს გამარჯვების მსოფლიო კვარცხლბეკიც.

ბიჭები საჭიდაო მოედანზე გადავხტით. ვერ დაგვაკავეს, თუმცა რაკი შეიტყეს, რომ საბჭოთა კავშირიდან ვიყავით, მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ თავი. გივი კარტოზია ხელში ავიტაცეთ, ტაშის გრიალში საჭიდაო ხალიჩის გარშემო შემოვატარეთ და გასახდელამდე მივიყვანეთ.

როსტომ აბაშიძეს უარეს პირობებში უხდებოდა ჭიდაობა. იგი პირველობის მონაწილეთა შორის თითქმის ყველაზე ახალგაზრდა იყო. როსტომს ორთავე მკლავზე მუშტის ოდენა ძირმაგარები აჰდა, რომლებიც კუნთებს კიდევ უფრო სჭიმავდნენ. ამ მდგომარეობაში ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი იყო მისი ბრძოლა ისეთ საქვეყნოდ ცნობილ მოჭიდავესთან, როგორიც უნგრელი გურიჩია.

გურიჩი უნგრელების ყველაზე საყვარელი სპორტსმენია, როდესაც იგი საჭიდაოდ გამოდის, ერთსულოვანი ტაში არ ცხრება. მაყურებლები ერთხმად გაჰყვიროდნენ — „ჰოირა, გურიჩ!“, „ჰოირა, გურიჩ!“ — „მადი, გურიჩ!“ „მადი, გურიჩ!“ ჩვენ ბევრი ვეცადეთ რვა ათასი კაცის საწინააღმდეგოდ გვეყვირა და გაგვემხნევებინა როსტომ აბაშიძე, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ათმა ქართველმა ისევ უნგრელებივით მოვრთეთ ყვირილი — „ჰოირა, როსტომ!“, „ჰოირა, როსტომ!“. ამ ხერხმა უფრო გაჭრა. საბჭოთა სპორტსმენები ხომ აგვყვნენ და აგვყვნენ, ხანდახან უნგრელებსაც ემღერებოდათ და ჩვენს სასარგებლოდ გაჰყვიროდნენ.

გივი კარტოზიას სტკიოდა აბაშიძის ძირმაგარები და ამბობდა, ნეტავი მე მქონდეს და მას არაო. როდესაც გივი ჭიდაობდა და ჩვენ ვღელავდით, როსტომს ელიმებოდა, თავს ნუ გვჭრით, როგორ შეიძლება გივის წაქცევაო. ახლა კი როსტომი ჭიდაობდა და გივი განიცდიდა.

ბოლოს როსტომისათვის სულ ერთი იყო, წააგებდა თუ მოიგებდა, ოღონდ სუფთად არ უნდა წაეგო. ან რათ უნდა წაეგო? როსტომი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ისიც ხელში ავიტაცეთ, თუმცა ამჯერად მოედანზე ვერ მოვასწარით შესვლა. დაღლილი როსტომი ვერ გრძნობდა ძირმაგარებს, იგი უფრო სხვას გრძნობდა — ჩვენს სიხარულს გრძნობდა, ჩვენს სიხარულში კი საქართველოს ღიმილსაც.

ქართველი კაცი შორეთს რომ გასახელებს, მადლი ის არის, შენ გაიხარე, ჩემო როსტომ!

მეორე დღეს გაზეთები და სპორტული ჟურნალები დიდად გამოეხმაურნენ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებებს, უნგრეთის ცენტრალურმა გაზეთმა გივი კარტოზიაზე წერილი დაბეჭდა სათაურით „ჭიდაობს უგვირგვინო მეფე“, ხოლო ახალგაზრდა ფალავანს როსტომ აბაშიძეს გზა დაულოცა და ბრწყინვალე სპორტული ბიოგრაფიის პირველი გამარჯვება შეუქო.

თბილისიდან წამოღებული მიწა სწორედ აქ გამომადგა, ერთი პეშვი მიწა ორ ფალავანს გავუყავი. მათ მართლა ასახელეს საქართველო და ქართული მიწა.

რომელი ქვეყნის წარმომადგენელიც ავიდოდა მსოფლიო გამარჯვების კვარცხლბეკზე, იმ ქვეყნის დროშა გაშლიდა ფრთას და მისივე ქვეყნის ჰიმნი აგუგუნდებოდა. საბჭოთა ჰიმნმა ყველას გადააჭარბა, ექვსჯერ შესრულდა იგი, ერთხელ მთელი საბჭოთა მოჭიდავეების გუნდის პატივსაცემად.

გახარებულნი დავბრუნდით სასტუმროში წმინდა მარგიტის კუნძულიდან. მეორე დღეს რამდენიმე კაცი ვიყავით უნგრეთის ლიტერატურული საზოგადოების შენობაში. დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს უნგრელმა მწერლებმა. ვინახულეთ ახალი მეტალურგიული ქალაქი სტალინვაროში, ბუდაპეშტის დაუვიწყარი მხიარული პარკი და კიდევ მრავალი რამ, რომლის მოგონება დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ჯ. ჩარკვიანი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. ახალი სახლები ქ. სეკეშფეხერვარეს ერთ-ერთ მოედანზე.
ფოტო უნგრეთის სატელეგრაფო სააგენტოსი.

მაო ძე-დუნი ციანძინში

პეკინი, 16 აგვისტო. (საქდესი). სინხუას სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ტიანძინში იმყოფებოდა 10-დან 13 აგვისტომდე. ცნობაში ნათქვამია, რომ მაო ძე-დუნმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხებეის პროვინციული კომიტეტის მდივნის, პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ლიუ ძი-ხოუს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ტიანძინის საქალაქო კომიტეტის მდივნის ლი გენ-ტაოსა და სხვა პირთა თანხლებით დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „სინლის“ ბრინჯის ყანები ქალაქის მიდამოებში, მთელი რიგი საწარმოები და ინახულა მრეწველობის ტექნიკური რევოლუციის წარმატებათა გამოფენა და საიმპორტო და საექსპორტო საქონლის გამოფენა. მაო ძე-დუნი შეხვდა მუშებს, გლეხებს, სტუდენტებსა და კადრის მუშაკებს.

კოოპერატივ „სინლში“ ყოფნის დროს მაო ძე-დუნს ტიანძინის აღმოსავლეთ გარეუბნის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯან ფუ-ანმა უამბო, რომ კოოპერატივში საწარმოო ბრიგადებს შორის გაჩაღდა შეჯიბრება ნაკვეთების უკეთ მოვლისათვის და ყოველ 10 დღეში წარმოებს მუშაობის ხარისხის შეფასება. ნაკვეთებზე, სადაც ნათესები უკეთეს მდგომარეობაშია, აღმართავენ დროშას სათანადო წარწერით. აღინიშნება აგრეთვე საშუალო და ცუდი ნაკვეთები. შეჯიბრება ხელს უწყობს ჩამორჩენილთა აყვანას მოწინავეთა დონემდე. მაო ძე-დუნს უჩვენეს ნაკვეთი, რომელსაც ჯერ კიდევ ნახევარი თვის წინათ ცუდი მაჩვენებლები ჰქონდა, ახლა კი იქ მოწინავე ნაკვეთის დროშა ფრიალებს. თავმჯდომარე მაო ძე-დუნი დაინტერესდა სარწყავი ბრინჯის ხშირი თესვისა და მიწის ღრმად ხვნის მეთოდების გამოყენებით. მან დადებითად შეაფასა გლეხების განზრახვა შეაჯვარონ ბრინჯი და ლელი, რათა მიიღონ ლელის ღეროიანი და ბრინჯის თავთავიანი ჰიბრიდი.

დაათვალიერა რა გამოფენები, მაო ძე-დუნმა მაღალი შეფასება მისცა მუშათა და მოსამსახურეთა შრომითს საქმეებსა და შემოქმედებითს ენთუზიაზმს. მრეწველობის ტექნიკური რევოლუციის წარმატებათა გამოფენაზე იგი შეხვდა წარმოების ცნობილ ტიანძინელ ნოვატორთა ჯგუფს და ახალი წარმატებები უსურვა მათ შრომაში.

გამოფენის დათვალიერებისას მაო ძე-დუნმა შენიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა დამოუკიდებელი სამრეწველო კომპლექსის შექმნისათვის უწინარეს ყოვლისა ეკონომიური კოოპერირების რაიონებში (ასეთ რაიონში შედის რამდენიმე პროვინცია. — სინხუას რედ. შენიშვნა), ხოლო შემდეგ ცალკეულ პროვინციებში. ხებეის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ თქვა, რომ ეს პროვინცია ახლა იწყებს სამრეწველო კომპლექსის შექმნას. ეს ამოცანა, განაცხადა მან, შეიძლება შესრულდეს სამ-ხუთი წლის შემდეგ.

ტიანძინის უნივერსიტეტსა და ნანკაის უნივერსიტეტში მაო ძე-დუნს მხურვალედ მიესალმა ათასობით სტუდენტი. მასწავლებლებმა და სტუდენტებმა უნივერსიტეტთან შექმნეს 130-ზე მეტი საწარმო და სახელოსნო, რომლებშიც უშვებენ მრეწველობის ბევრი სახეობის პროდუქციას, მათ შორის დაზგებს. მაო ძე-დუნმა დაათვალიერა მთელი რიგი ასეთი საწარმოები. მას აინტერესებდა, როგორ ხორციელდება სწავლისა და შრომის შეხამების სისტემა. პროვინციული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ ძი-ხოუმ აღნიშნა, რომ ზოგიერთს წინათ ეშინოდა, რომ ფიზიკური შრომა უარყოფითს გავლენას მოახდენს სწავლაზე. სინამდვილეში ფიზიკური შრომა ხელს უწყობს სწავლას. მაო ძე-დუნმა აღნიშნა, რომ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლებიც უნდა ეწეოდნენ ფიზიკურ შრომას. დაწესებულებათა მოსამსახურეებიც არ უნდა მოსწყდნენ შრომითს საქმეებს.

ქალაქის ათიათასობით მცხოვრები მიესალმა თავმჯდომარე მაო ძე-დუნს.

სინხუას სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც მაო ძე-დუნი იყო კოოპერატივ „სინლში“, ტიანძინისა და ნანკაის უნივერსიტეტებში, იქ გაიმართა მიტინგები და კრებები, რომლებზეც განიხილეს კოოპერატივის წევრების, სტუდენტებისა და მასწავლებლების წინაშე დასახული შემდგომი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საჩუქარი ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

ტირანა, 17 აგვისტო. (საქდესი). საბჭოთა კავშირის ელჩმა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვმა გუშინ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საჩუქარი — დოკუმენტალური ფილმი „დიდი ცხოვრების ფურცლები“, რომელიც მოგვითხრობს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის მოღვაწეობაზე.

ფილმის გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჰიუსნი კაპო, ლირი ბელიშოვა და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ურუგვაიში

მონტევიდეო, 17 აგვისტო. (საქდესი). მონტევიდეოში მყოფმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ, რომელსაც ა. თ. გორკინი მეთაურობს, გუშინ გვირგვინით შეამკო ურუგვაის ეროვნული გმირის არტიგასის ძეგლი, დაათვალიერა ქალაქი და გაეცნო ურუგვაის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

მთიელი ქალიშვილი

ეს მოხდა 1944 წლის პაპანაქება ზაფხულში, ბელორუსიის მიწაწყალზე, ...ოლკოვისკთან. ივლისის ერთ ნათელ დღეს არმიის გაზეთის რედაქციაში ვბრუნდებოდი. ბლოკნოტი სავსე მქონდა საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციებით. უეცრად ტყის წყნარ ნაკადულთან სიმღერა შემომესმა. ქალიშვილის ...რივით წკრიალა, სასიამოვნო ხმა რაღაც ...ვედიანს მღეროდა, თითქოს შორეულ მშობლიურ მხარეს ნატრობსო, მაგრამ ...ერც ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე. „ვინ ...ნდა იყოს“? — უნებურად შევჩერდი ...ა გადაჭრით გადავუხვიე გზიდან.

ტყის პირას, მოჩუხჩუხე ნაკადულთან, ...ალიშვილი იჯდა. მკაცრი, დაფიქრებული ...ახე, მსხვილი შავი წარბები და სამხრე...ის დამსავით შავი თვალები, თხელი, ...ბიანი ცხვირი და მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი ჰქონდა. საოცრად ...უხდებოდა პილოტური ქუდი და ფრონტის ...არებისა და ხშირი რეცხვისაგან გამოხუნებული გიმნასტურა. უნდა გამოვტყდე, ასეთი ლამაზი ჯარისკაცი არასოდეს არ შემხვედრია. მე რომ დამინახა, ქალიშვილი ერთი კი გაჩუმდა, მაგრამ მალე ისევ დაიწყო სიმღერა, თითქოს მის მარტოობა არავის და არაფერს არ ...არღვევს, იქვე ბუჩქების შტოებზე ...ებოდა ახლად გარეცხილი ცხვირსახოცები, საყელოები.

არ ვიცოდი, რით დამეწყო საუბარი, როგორ ამეხსნა ჩემი მოულოდნელი გამოჩენა, და ვკითხე: — ვინა ხარ?

—სულიკო, — უბრალოდ მომიგო ქალიშვილმა. — შენა?

...უთხარი, ვინც ვიყავი. სულიკომ გაიღიმა, გასაგებიაო.

— მეთაურთან გაგაცილო! არა? როგორც გინდა... ჩვენი ნაწილი კი დასასვენებლად გამოიყვანეს, ჰოდა ვისვენებთ, ხედავ ვრეცხავთ, წესრიგში მოგვყავს თავი.

იმ დღეებში საბჭოთა ჯარები შეუკავებელი, სწრაფი ნიაღვარივით მიიმართებოდნენ ბელორუსიის მიწა-წყალზე. ბრძოლებს შორის შესვენების იშვიათი დღე თვითეული ჯარისკაცისათვის ძვირფასი იყო, და მე მესმოდა ქალიშვილის მდგომარეობა: გამოერია თავისუფალი წუთი, რომ მოჰგონებოდა საკუთარი თავი, წესრიგში მოეყვანა თავისი უბრალო ჯარისკაცული მეურნეობა.

—რაზე მღეროდი, სულიკო?

ქალიშვილმა ეშმაკურად შემომხედა, გიშერივით შავი, მოკლედ შეკრეჭილი კულულები შეარხია და გაიცინა.

— გინდა გაზეთში დაწერო?

ვილაპარაკეთ და აი რა ჩავიწერე შემდეგ ჩემს საფრონტო ბლოკნოტში.

დედა ბავშვობიდანვე უნერგავდა დინას ადამიანებისა და სამშობლო მხარის დიდ, წმინდა სიყვარულს, და დინაც მხიარული, შრომისმოყვარე და გულკეთილი ქალიშვილი იზრდებოდა. მშობლიური სახლივით უყვარდა კავკასია, მთები და ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეუძლიათ ადამიანებს იცხოვრონ მტვრიან და გვალვიან ვაკეებში. მეგობრებთან ერთად ხშირად მიდიოდა მთებში, თხასავით ხტოდა ციცაბო ქიუხებზე, მღეროდა თავისი ქვეყნის შესანიშნავ სიმღერებს, და თითქოს არაფერს არ შეეძლო გაეფანტა მისი სიხარული, გაეფანტა მისი ოცნებები, ჩრდილი მიეყენებინა მაისის ცასავით ნათელი მისი ახალგაზრდობისათვის.

მაგრამ აი დაიქუხა ომმა. დინამ ფრონტზე გააცილა უფროსი ძმა — ლავრენტი. იგი მტერს ებრძოდა კიევთან, კრივოი როგთან, კრასნოდართან და თუმცა ცოტ-ცოტას, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად იწერებოდა სახლში. ძმის წერილები აღსავსე იყო გამარჯვების მტკიცე რწმენით და ბევრი სიხარული მოჰქონდა მოხუცი ქვრივის იოსებიძის ოჯახში. დინას სწამდა, რომ ომი მალე გათავდებოდა და ლავრენტი შინ დაბრუნდებოდა. მაგრამ როცა ჩვენმა ჯარებმა მძიმე ბრძოლებით კავკასიონის მთისპირებამდე დაიწიეს, და გორიში მცხოვრებლებმა ღამღამობით ფანჯრებს მუქი ფარდების ჩამოფარება დაუწყეს, ქალიშვილმა ვეღარ გაძლო. კომკავშირის რაიკომში შეირბინა, სამხედრო კომისარიატში მოილაპარაკა, გადაეხვია დაემშვიდობა დედას და გამოუცხადა, რომ მოხალისედ, მედიცინის დად მიდის ფრონტზე, იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდება.

შავი ზღვისპირის პატარა ქალაქში დინა იოსებიძე შეხმატკბილებულ მებრძოლ ოჯახში მიიღო საზღვაო ქვეითი ჯარის პოლკმა. ახალ სანინსტრუქტორს, შავთვალა მთიელ ქალიშვილს, მეზღვაურებმა ხუმრობით და ალერსით „სულიკო“ შეარქვეს, და ასე შერჩა მას ეს სახელი მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ რაკეტის აფეთქებასავით გაელვებულ სიცოცხლეში.

პოლკი მძიმე თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდა. მეზღვაურები ქურთუკებს იხდიდნენ, ზოლიანი მეზღვაურული პერანგების ამარა დღეში რამდენჯერმე გადადიოდნენ ფიცხელ კონტრიერიშებზე, უმკლავდებოდნენ მტრის რიცხობრივად ჭარბ ძალებს და მათ მუდამ გვერდში ედგათ სულიკო. განუწყვეტელი დაბომბვისა და ძლიერი სროლის დროს იგი უშიშრად აკეთებდა თავის საქმეს—გაჰყავდა დაჭრილები სანგრებში, პირველ დახმარებას უწევდა მათ. მკაცრი, ბევრი რამის მნახველი მატროსები გაოცებული იყვნენ: საიდან ჰქონდა ამდენი სიმამაცე, ენერგია და თავდაჭერა ამ ნაზ და ვაზივით მოქნილ ქალიშვილს? ქალიშვილმა კი მართლაც არ იცოდა რა არის დაღლა.

აქვე, შავი ზღვის სანაპიროზე, დინა პირველად დაიჭრა მძიმედ. დიდხანს იწვა საველე ჰოსპიტალში, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მიუწერია ამის შესახებ დედისათვის.

რათ ვატკინო გული საწყალ დედას, უფროსი ვაჟის ჯავრიც ეყოფაო.

გამოჯანსაღების შემდეგ დინა რაღაც ბედნიერი შემთხვევით სწორედ იმ ნაწილში დაინიშნა, სადაც ასეულის მეთაურად მისი ძმა ლავრენტი მსახურობდა. ერთ ხანს ისინი ერთად იბრძოდნენ, ფრონტის სიხარულსა და გაჭირვებას იყოფდნენ ერთად ოცნებობდნენ მალე გამარჯვებასა და შინ დაბრუნებაზე. მაგრამ ერთ ბრძოლაში ლავრენტი სასიკვდილოდ დაიჭრა, და თუმცა დინამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, ძმის სიცოცხლის გადასარჩენად, იგი მის ხელზე გარდაიცვალა.

ასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე გადაარჩინა დინამ, ყოველდღე სიკვდილის საფრთხეში აყენებდა თავს ნაწილთან ერთად, რომელიც გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, სულიკო მუდამ ყველაზე საშიშ უბნებზე იყო. სანინსტრუქტორს კი არ ეძებდნენ მეომრები ბრძოლის შემდეგ, არამედ, ნაზი ქალიშვილი—სანინსტრუქტორი, სროლასა და დაბომბვაში ეძებდა და პოულობდა იმათ, ვისაც მისი დახმარება, გულთბილი, გამამხნევებელი სიტყვა ესაჭიროებოდა.

ყუბანში ბრძოლების დროს დინა მეორედ დაიჭრა. მაგრამ რომ გამოკეთდა, კვლავ დაბრუნდა წინა პოზიციებზე, მსროლელ ბატალიონში. მესამედ დაჭრის შემდეგ, 1943 წლის შემოდგომაზე, გომელთან, დინას სამუშაო შესთავაზეს მედსანბატში— აქ რაც უნდა იყოს მაინც უფრო სიწყნარეა, ნაკლებ საშიშიაო. ქალიშვილმა გადაჭრით უარი განაცხადა.— ძმის საფლავზე პირობა დავდე, რომ ბატალიონთან ერთად ბერლინამდე მივალ. ნება მიბოძეთ არ დავარღვიო ჩემი პირობა, — სთხოვა უფროსს. და იგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

არსად არ უყვართ კარგი სიმღერა ისე, როგორც ფრონტზე. სულიკომ თავისი სიმღერაც გამარჯვების იარაღად აქცია. ბრძოლებს ხშირად ძნელი გადასვლები სცვლიდა, გადასვლებს — ახალი შეტაკებები. და ხდებოდა ხოლმე, როცა ჯარისკაცებს საშინელი მოქანცულობა ერეოდათ. უძილო ღამეებისაგან თვალის უპეები ერთმანეთს ეკვროდა, ფეხები კი თითქოს თუჯისა ხდებოდა და ველარ მიაბიჯებდა, როცა ქანცგამოლეული ადამიანები პირდაპირ სიარულში იძინებდნენ, დინა უეცრად სიმღერას წამოიწყებდა. თანაც ისე ხალისიანად მღეროდა, — თვალები ისე მხიარულად უციმციმებდა, რომ ჯარისკაცები თავს მაღლა ასწევდნენ, წელში გაიმართებოდნენ, ნაბიჯი უფრო მტკიცე და გაწიერი უხდებოდათ...

ჯერ კიდევ ყუბანსა და უკრაინაში ბრძოლების დროს დინას ბევრი რამ გაეგონა ბელორუსიის პარტიზანებზე, მტრის ზურგში მოქმედ მრისხანე სახალხო შურისმგებლებზე. ნეტა ერთი მანახვა ეს არაჩვეულებრივი ადამიანები, ფიქრობდა ქალიშვილი: ჰგვანან თუ არა შორეული აღმოსავლეთის იმ გმირებს, რომელთა სახეები სკოლაში სწავლის დროიდანვე აღბეჭდა ქალიშვილს ა. ფადეევის წიგნის „განადგურების“ მიხედვით. 1944 წლის ადრე გაზაფხულზე, მდინარე პრიპიატზე, ბელორუსიის პატარა ქალაქ პეტრიკოვის რაიონში მოულოდნელად აუხდა ქალიშვილს მგზნებარე ოცნება. ბატალიონი, რომელშიც დინა მსახურობდა, აქ შეუერთდა ბელაია ვეჟის ტევრის მამაც პარტიზანებს, „სამშობლოსათვის მებრძოლთა“ რაზმის პარტიზანებს.

მთელ ღამეს ელაპარაკა დინა ბელორუს მეგობრებს, რაზმის მედიცინის დას მაშენკას — ქერათმიან და ნათელთვალება ქალიშვილს, რომელსაც ჩვეულებრივი დაბამბული ქურთუკი ეცვა და ნადავლი გერმანული ქამარი ერტყა. მოჯადოებულივით შესცქეროდა პარტიზანებს, ისეთსავე უბრალო და მკაცრ ადამიანებს, როგორიც მისი ბატალიონის მებრძოლები იყვნენ. და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახალხო შურისმგებლებს იგივე ძალა ამოქმედებთ, რაც საბჭოთა მეომრებს, რომლებიც მშობლიურ მიწაწყალს ათავისუფლებდნენ საძულველი მტრისაგან, რომ სადაც უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, რა გაჭირვებაც უნდა გამოსცადოს, სულ ერთია, თავისი დიადი სამშობლოს ბოლომდე ერთგული შვილი რჩება. და კიდევ იმას მიხვდა მაშინ დინა რომ მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს გატეხოს ეს მამაცი და ძლიერი ადამიანები — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, ყაზახები, რომლებიც მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ თავიანთი ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იბრძოლონ ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ მაშინაც კი, როცა მათ უზარმაზარი მანძილი ჰყოფს ერთმანეთისაგან...

ეს არის და ეს, რაც შემომინახა ჩემმა საფრონტო ბლოკნოტმა პირველ შეხვედრაზე დინა იოსებიძესთან — მაღალი მოვალეობის, დაუშრეტელი მამაცობის, მკაცრი სილამაზის ქალიშვილთან. ძველი კარგი მეგობრებივით დავშორდით ერთმანეთს.

მეორედ და უკანასკნელად მას შევხვდი უკვე პომერანიაში — 1945 წლის გაზაფხულზე. მაგრამ შეხვედრა ისე ხანმოკლე იყო, რომ ძლივს მოვასწარით ორიოდე სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისათვის. კაპიტან შვარევის ბატალიონი, სადაც დინა მსახურობდა, ჰიტლერელთა დიდი დასაყრდენი პუნქტის იერიშისათვის ემზადებოდა, და დინა — ისევ ისე მკვირცხლი, დაუდგრომელი — სანიტარულ ჩანთაგადაკიდებული, ჯავშანტრანსპორტიორზე იჯდა და ერთ-ერთ მოიერიშე ჯგუფში მიდიოდა. მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ დინას ჯარისკაცულ გიმნასტურაზე, წელზე მჭიდროდ რომ ერტყა ქამარი, წინანდელი საბრძოლო ჯილდოების — სამამულო ომის ორი ორდენისა და წითელი ვარსკვლავის ორდენის გვერდით წითელი დროშის ახალთახალი ორდენი უბრწყინავდა, ხოლო ჭრილობების მაჩვენებელი ნიშნების წყებას კიდევ ერთი ოქროსფერი ზოლი მიმატებოდა. ჯავშანტრანსპორტიორი დაიძრა, დინამ გამოსათხოვრად ხელი დამიქნია, და ძალაუნებურად საუბარი შემდეგისათვის უნდა გადადებულიყო.

ერთი კვირის შემდეგ კი შემატყობინეს, რომ დინა დაიღუპა. აი როგორ მომხდარიყო ეს. კაპიტან შვარევის ბატალიონი სწრაფ შეტევას ავითარებდა და ჰოჰენცოლერნთა არხის დასავლეთ ნაპირზე პატარა პლაცდარმზე მოიკიდა ფეხი. ღამით ჰიტლერელები ტანკების დახმარებით გაფთრებულ კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ძირითადი დარტყმა შვარევის ბატალიონს დაატყდა თავს. ჩვენმა სარდლობამ საჭიროდ არ მიიჩნია საფრთხეში ჩაეგდო ადამიანთა სიცოცხლე და ბატალიონს უბრძანა დაეტოვებინა პლაცდარმი. მებრძოლი მეომრები უკანასკნელ წუთამდე ხედავდნენ დინას გადმოსასვლელზე. მოწინააღმდეგის მხრივ ძლიერ სროლაში იგი ჭრილობებს უხვევდა დაჭრილებს, ეხმარებოდა მათ ნავებში ჩასხდომისას.

როცა ჩვენი ქვედანაყოფები ძირითადად უკვე გადმოვიდნენ გადმოღმა, ფაშისტთა რამდენიმე ტანკი, რომლებზეც მეავტომატეები ისხდნენ, გადმოსასვლელის ადგილთან შემოიჭრა.

— რუს, დაგვნებდი! — მიაშურეს გერმანელებმა უკანასკნელ გასაბერ ნავს, სადაც ბატალიონის მეთაური და მეკავშირეები იყვნენ.

— დინა, ჩქარა ჩამოხტი ნავში, — დაუძახეს ამხანაგებმა.

მაგრამ გვიანღა იყო. დრო რომ მოეგო და ნავისათვის წასვლის საშუალება მიეცა, დინამ ძლიერ უბიძგა მას ნაპირიდან, თვითონ კი მარტო, მთლად მარტო დარჩა ფაშისტ მეავტომატეთა შორის.

მთებში გაზრდილმა ქალიშვილმა ცურვა არ იცოდა. მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია ტყვედ დანებებულიყო. დინამ ჰიტლერელებს უკანასკნელი გრანატი სტყორცნა, ნავში მსხდომ ამხანაგებს შემოსძახა: „მშვიდობით, მეგობრებო“! და არხის ცივ შავ წყალში გადაეშვა. გრანატის აფეთქებამ ღამეში იელვა როგორც ამაყი საბჭოთა ქალიშვილისადმი სალუტმა.

ბატალიონი მძიმედ განიცდიდა ამ დანაკლისს. დილით ჩვენმა მეომრებმა სხვა უბანზე გადალახეს არხი და ახალი ძალით ეკვეთნენ მტერს. ისინი ფაშისტებში სიკვდილს თესავდნენ დინა იოსებიძის ნათელი და წმინდა სიცოცხლისათვის.

...ამას წინათ იმ ადგილებში გავლა მომიხდა, სადაც პირველად შევხვდი მთიელ ქალიშვილს. დიდი ხანია მოსწორებულა, ხასხასა მცენარეულობით დაფარულა ძველი ტრანშეები და ნაყუმბარევები. აყვავებულა აღორძინებული მიწა. აქ არაფერი აღარ მოგაგონებთ განვლილ ომს. და მხოლოდ მოჩუხჩუხე ნაკადული ისევ ისე რაკრაკებს ტყის პირას, თითქოს დაუცხრომელ სიმღერას ამბობს სიცოცხლის ზეიმზე, რომლისთვისაც თავიანთი სისხლი დაღვარეს ხალხის საუკეთესო შვილებმა — ქალებმა და ვაჟებმა.

ა. ბელოშეევი.

ეს მოთხრობა დაბეჭდილი იყო ბელორუსიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ვო სლავუ როდინი“ 1958 წლის 12 ივლისის ნომერში. გაზეთის ეს ნომერი ...ითხველმა მიხეილ გოლდშტეინმა გადმოუგზავნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას (იხ. „ზარია ვოსტოკა“ 1958 წლის 15 აგვისტოს ნომერი). მოთხრობაში აღწერილია ნამდვილი ამბავი. დინა (იგივე თინა) იოსებიძე აღმოჩნდა გორის რაიონის სოფელ თორტიზის მცხოვრები. ამ სოფელში ახლაც არიან მისი დედა, და-ძმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის კუბოსთან

პარიზი, 17 აგვისტო. (საქდესი). ფრანგი ხალხი უკანასკნელ ვალს იხდის დიდი მეცნიერისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, საფრანგეთის პატრიოტის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის წინაშე. დილიდან სორბონის (პარიზის უნივერსიტეტის) შენობისაკენ, სადაც დასვენებულია კუბო განსვენებულის ცხედრით, დაიძრა ხალხის ნაკადი. ბევრს მიაქვს ყვავილების თაიგულები და გვირგვინები. ფრედერიკ ჟოლიო-კიურის კუბოსთან ყოველ ნახევარ საათში იცვლება სტუდენტების, განსვენებულის კოლეგებისა და ხმალამოწვდილი რესპუბლიკელი გვარდიელების საპატიო ყარაული.

მსოფლიოს ყოველ კუთხიდან პარიზში მოდის ღრმა სამძიმრის დეპეშები საფრანგეთის დიდი მოქალაქის გარდაცვალების გამო, მათ შორის იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წერილი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის, იტალიის სოციალისტური პარტიის მდივნის პიეტრო ნენის, მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ცალკეული პირების დეპეშები.

საფრანგეთის გაზეთები კვლავ აქვეყნებენ მასალებს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შესანიშნავი ცხოვრების, უდიდესა მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნავენ, რომ ამ გამოჩენილი ადამიანის ხსოვნას დღეს პატივს სცემს მთელი მსოფლიო.

სამშაბათს, 19 აგვისტოს მოხდება ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ეროვნული დაკრძალვა.

ამერიკის ახალი საავიაციო ბაზა ტაივანზე

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საქდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ჟორნელ-ამერიკენის" სამხედრო მიმომხილველი იუწყება, ამერიკის არმიის საინჟინრო-მესანგრეთა კორპუსი „სასწრაფო წესით" ამთავრებს ტაივანზე დიდი საავიაციო ბაზის — „კუნკვანის" მშენებლობას 100 მილზე ტაიბეის სამხრეთით. მიმომხილველის სიტყვით, ეს არის „მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე თანამედროვე სამხედრო ბაზა". იგი წარმოადგენს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლიგონის დამატებას, რომელიც ტაივანზე შეიქმნა მართული რაკეტული ყუმბარების „მატადორისათვის".

ინდონეზიელი ხალხი აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს

ჯაკარტა, 17 აგვისტო. (საქდესი). დღეს ინდონეზიის რესპუბლიკა აღნიშნავს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეცამეტე წლისთავს. რესპუბლიკის დედაქალაქი მოირთო სახელმწიფო ალმებით. დილაადრიან ნეგარის სასახლეში გაიმართა დამოუკიდებლობის კურთხევის ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ.

ჩვენ, თქვა პრეზიდენტმა, შეგნებულად მოგვითხოვდით ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას, თანმიმდევრულად ვიბრძოდით ყოველი ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ, ხმა ავიმაღლეთ სამხედრო პაქტების წინააღმდეგ, დაუცხრომლად ვეწეოდით ბრძოლას ჩვენი ინდივიდუალობის აღდგენისათვის, ჩვენი სახელმწიფოს ერთობის განმტკიცებისათვის, სამართლიანი აყვავებადი ინდონეზიური საზოგადოების შექმნისათვის. რესპუბლიკის ერთგულმა მთელმა ხალხმა, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — მოიწონა და მხარი დაუჭირა მტკიცე ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულ იქნა მეამბოხეთა წინააღმდეგ „რომელნიც ისწრაფოდნენ შეექმნათ ერთიანი ფრონტი უცხოელ იმპერიალისტურ ელემენტებთან, რომლებიც ისახავენ რესპუბლიკის მოსპობის მიზანს და დასავლეთის სამხედრო ბლოკში ჩვენი ქვეყნის ჩათრევას.

სუკარნომ რწმენა გამოთქვა, რომ იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი სავსებით განდევნილ იქნებიან აზიიდან და აფრიკიდან, რადგან ეს არის ისტორიის გარდუვალი მსვლელობა. „ყოველი ძირგამომთხრელი მოქმედება, ყოველი ჩარევა ან აგრესია რაიონში, სადაც ნაციონალიზმს გავლენა აქვს, თქვა მან, ცეცხლთან თამაშს უდრის. სწორედ ამიტომ ლიბანისა და იორდანიის ამბებთან დაკავშირებით ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ უსწრაფესად გაიყვანონ ამერიკისა და ინგლისის ჯარები ამ რაიონიდან, მოვითხოვთ უცხოეთის ჯარები გაიყვანონ მოკლე ვადაში".

დასასრულ სუკარნომ მოუწოდა გამოიჩინონ სიმტკიცე და გამბედაობა ეროვნული რევოლუციის საქმისათვის ბრძოლაში. ჩვენ, თქვა მან, უნდა გამოვჰქედოთ ერთობა ამ ბრძოლისათვის.

სუკარნოს სიტყვის შემდეგ გაიმართა დედაქალაქის მოსახლეობის მძლავრი დემონსტრაცია.

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბუდაპეშტი, 17 აგვისტო. (საქდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ბერნში უნგრეთის მისიის სადგომზე შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმის გამო, რაც 16 აგვისტოს მოახდინა უნგრეთიდან გაქცეულმა ორმა კონტრრევოლუციონერმა.

ამ ინციდენტის გამო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იშტვან შებეშმა მიიღო შვეიცარიის დესპანი ბუდაპეშტში და მტკიცე პროტესტი განუცხადა მას.

ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციულ გამოხდომათა მიზანი, რომელთა ორგანიზატორები და სულის ჩამდგმელნი არიან იმპერიალისტური ძალები, ის არის, რომ ჩამოაშოროს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ამერიკა-ინგლისის აგრესიას ახლო და შუა აღმოსავლეთში და კვლავ ხელოვნურად გააღვივოს ანტიუნგრული კამპანია.

შვეიცარიის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ნეიტრალიტეტის პრინციპების წინააღმდეგ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის არაერთგზის პროტესტის მიუხედავად ითმენს თავის ტერიტორიაზე ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია უნგრელი ხალხისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ითმენს წამქეზებლურ ანტიუნგრულ კამპანიას, რომელსაც შვეიცარიის პრესა ეწევა.

მთელი პასუხისმგებლობა ასეთი პოლიტიკის შედეგებისათვის, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, ეკისრება შვეიცარიის მთავრობას.

მთვარისაკენ ამერიკის რაკეტის გაშვების ცდა

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საქდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, დღეს დილით კანავერალის (ფლორიდის შტატი) კონცხიდან მთვარისაკენ გაუშვეს ამერიკის რაკეტა. რაკეტა აფეთქდა გაშვებიდან 77 წამის შემდეგ.

უნგრეთის პროფკავშირთა მუშაკები თბილისში

თბილისში რამდენიმე დღეს იყვნენ სტუმრად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები — ამ კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლასლო კარაკაში, პროფკავშირის კეჩკემეტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე მარგიტ კირაი და ბუდაპეშტის საკონდიტრო ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე იოჟეფნე დელცეგი.

უნგრეთიდან ჩამოსული სტუმრები გაეცნენ საქართველოს კვების საწარმოთა მუშაობას, პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას. მათ, კერძოდ, ინახულეს შამპანური ღვინოების ქარხანა, ჩაის საწონი ფაბრიკა, პურის კომბინატი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დილმის სასწავლო მეურნეობა, ესაუბრნენ მუშებს, სპეციალისტებს, პროფკავშირულ აქტივისტებს.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ამხანაგმა ლასლო კარაკაშმა თქვა, რომ საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა გაცნობამ ბევრი სასარგებლო რამ მისცა მათ.

უნგრელი სპეციალისტები სოჭს გაემგზავრნენ. (საქდესი).

კეთილშობილური საქციელი

ამას წინათ თბილისში ჩამოვედი. თან მახლდა ჩემი ქალიშვილი მედეა — მან სიმწიფის ატესტატი მიიღო, და გვინდოდა ორიოდე დღე გაგვეტარებინა დედაქალაქში.

დაბრუნების დღეს ზოგი რამ ნაყიდი ნივთი, 500 მანეთი და წიგნი „თბილისი" მედეას სადღაც დარჩენია და ვერ მოუგონებია — სად.

რაღას გავაწყობდით. დაღონებული ჩავსხედით მატარებელში და წავედით ცხაკაიაში.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენს მისამართზე მივიღეთ ყველა ნივთი, წიგნი და 500 მანეთი.

გამოირკვა, რომ ნივთები და ფული ჩემს ქალიშვილს დარჩენია „თბილუნივერმაღის" № 188 მაღაზიაში. ყველაფერი ეს მოგვიანებით შეუმჩნევია გამყიდველ როსტომ მამედის-ძე მამედოვს. წიგნში „თბილისი" მამედოვს უნახავს კონვერტი, რომელზეც ჩვენი მისამართი ეწერა.

პატიოსანმა მოქალაქე მამედოვმა ამ მისამართზე ყველაფერი უკლებლად დაგვიბრუნა.

მერე სპეციალურად ჩამოვედი თბილისში, რომ ამ კაცისათვის პირადად მადლობა გადამეცა, და ეს ინფორმაცია რედაქციის გადავეცი დასაბეჭდად.

ვ. წირღვავა,
ცხაკაიას რაიონული გაზეთის „ავანგარდის" რედაქტორი.

სპარტაკიადა გრძელდება



სურათზე: ჭაბუკთათვის 100 მეტრზე ფინალური გარბენის ერთ-ერთი მომენტი. ზევით ამავე დისტანციაზე გამარჯვებულები: გოგონათა შორის — გ. ვიაზანკინა (მოსკოვი), ჭაბუკთა შორის — ა. ბედუკაძე (საქართველო).

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ სასპორტო ბაზებზე გრძელდება მოსწავლეთა V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული დასკვნითი შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში. სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღეს ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები, მსროლელები, მცურავები. გუშინ დაიწყო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში, წყალში ხტომასა და ნიჩბოსნობაში.

18 აგვისტომდე გამართულ სპორტის 9 სახეობის შეხვედრათა შედეგების მიხედვით საერთო გუნდური შედეგები ასეთია: პირველ ადგილზეა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივი (65 ქულა), მეორეზე — საქართველო (74 ქულა), მესამეზე — მოსკოვი (92 ქულა).

მძლეოსანთა შეხვედრების პირველი დღე აღინიშნა მოსწავლე სპორტსმენთა ახალი წარმატებით. ლიტვის წარმომადგენელმა ი. იაშჩანინასმა ურო 65 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე სტყორცნა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში უძლიერესი იყო ე. ვოლობუევი (უკრაინა, 3 მეტრი და 80 სანტიმეტრი), ბირთვის კვრაში ჭაბუკთა შორის — ვ. სიმონოვი (რსფსრ, 14 მეტრი და 10 სანტიმეტრი). გოგონათა შორის გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ო. ლევანენკომ (უზბეკეთი, 1 მეტრი და 55 სანტიმეტრი), ბადროს ტყორცნაში — ლ. შახვაროსტოვამ (შრომითი რეზერვები, 38 მეტრი და 71 სანტიმეტრი).

მცურავთა ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა 2 ამანათცურვა ნებისმიერი სტილით გოგონებისათვის 4×100 მეტრზე და ჭაბუკთათვის 4×200 მეტრზე. გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, რომელმაც აჩვენა დრო — 4 წუთი და 54 წამი, ჭაბუკთა შორის — რსფსრ მცურავთა კოლექტივი (9 წუთი და 33 წამი). საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.



სურათზე: ტაჯიკეთისა და ბელორუსიის ჭაბუკ წყალბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ო. არობელიძისა.

წარმატებით გამოდიან საქართველოს მსროლელები, რომლებმაც შეხვედრათა პირველ დღეს ყველას გაუსწრეს და 1123 ქულა შეაგროვეს. პირად ჩათვლაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს ვ. არუდაშვილმა, ვ. კაკაურიძემ (ორივე საქართველოდან) და ს. კრივოიმ (უკრაინა). 300 შესაძლებლიდან თვითეულმა მათგანმა 285 ქულა შეაგროვა.

მიმდინარეობს ფინალური შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში. გუშინ გაიმართა პირველი რვა ადგილისათვის მებრძოლ გოგონათა და ჭაბუკთა კოლექტივების მორიგი შეჯიბრება. მატჩების შედეგები ასეთია: გოგონათა გუნდები — ლატვია-ლიტვა 0:11, ესტონეთი-შრომითი რეზერვები 6:5, სსრ კავშირის გზათა სამინისტრო-უკრაინა 7:4, ლენინგრადი-მოსკოვი 5:6; ჭაბუკები — ლიტვა-ესტონეთი 7:4, ლატვია-შრომითი რეზერვები 0:11, გზათა სამინისტრო-მოსკოვი 7:4, ლენინგრადი-რსფსრ 7:4.

დაიწყო შეჯიბრება ჩოგბურთში პირადი პირველობისათვის. ასპარეზობაში მონაწილეობას იღებს 20 ჩოგბურთელი გოგონა და 32 ჭაბუკი.

ფეხბურთელთა კოლექტივები ჩაებნენ ფინალურ შეჯიბრებაში. პირველობისათვის მებრძოლთა რიგებში სხვა გუნდებთან ერთად არიან საქართველოს ფეხბურთელები. გუშინ დილით ესტონეთის გუნდმა დაამარცხა ყირგიზეთის ფეხბურთელები 3:0, თურქმენეთის სპორტსმენებმა — ლიტვის გუნდი 2:0. მოსკოვისა და სომხეთის გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

წყალბურთში სომხეთის გუნდმა მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვა რსფსრ სპორტსმენებთან 4:3, ლენინგრადელებმა მოიგეს შეხვედრა აზერბაიჯანის გუნდთან 2:0, უკრაინამ — შრომით რეზერვებთან 3:2.

წარმატებით იბრძვიან საქართველოს კალათბურთელი გოგონები და ჭაბუკები. 17 აგვისტოს ჩვენი რესპუბლიკის გოგონებმა დაამარცხეს უკრაინის გუნდი 42:33, ხოლო ჭაბუკებმა — ლიტვის კალათბურთელთა კოლექტივი 70:60. დანარჩენი მატჩები ჭაბუკთა გუნდებს შორის ასე დამთავრდა: ლატვია-ყირგიზეთი 54:50, უკრაინა-აზერბაიჯანი 54:3[illegible], ესტონეთი-შრომითი რეზერვები 64:3[illegible].

17 აგვისტოს მატჩებში საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა დამარცხება განიცადეს. მათ წააგეს შეჯიბრება ლიტვისა და უკრაინის გუნდებთან. მოსკოვის გოგონათა გუნდმა გაიმარჯვა შრომით რეზერვებთან 3:0, მაგრამ ჭაბუკებმა დამარცხება განიცადეს შრომითი რეზერვებთან 2:3.

დღეს პირველობისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან ველომრბოლელები. მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა 22 აგვისტომდე გაგრძელდება.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

მოსკოვი. 16 აგვისტო. აქ გაიმართა XX ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

ლენინგრადი. 16 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტისა" და მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:0.

„ბ" კლასი

17 ივლისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „ბ" კლასის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების — ქუთაისის „ლოკომოტივისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" შეჯიბრება. შეხვედრა მოიგეს ქუთაისის ლოკომოტიველებმა 4:2.

რედაქტორი პ. რატიანი.

რუმინეთში ამუშავდა ახალი ბლუმინგი

ამ დღეებში ხუნედოარის მეტალურგიულ კომბინატში საცდელად ამუშავდა ახალი, უნგრეთში ყველაზე მძლავრი ბლუმინგი. მისი ამუშავებით რუმინეთში ნაგლინის წარმოება ერთიორად გადიდდება. ახალი ბლუმინგი სავსებით მექანიზებული და ავტომატიზებულია. მას მოემსახურება 11-12 კაცი, ხოლო უშუალოდ ტექნოლოგიურ ხაზზე — 4 კაცი. აგრეგატი 4 ათას ტონას იწონის.

გაზეთი „მუნკა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი საწარმოთ გამარჯვება მოპოვებულია საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით. ბლუმინგის მოწყობილობა თითქმის მთლიანად მოგვაწოდა დიდმა მეგობარმა ქვეყანამ. აგრეგატის მშენებლობა ხორციელდებოდა საბჭოთა დოკუმენტაციის საფუძველზე და საბჭოთა სპეციალისტების ტექნიკური დახმარებით.

პოლონელი გეოლოგების წარმატება

უკანასკნელ დროს პოლონელმა გეოლოგებმა სპილენძის მადნის დიდი საბადოები აღმოაჩინეს ქვემო სილეზიაში ქალაქების ხეროშოვიცისა და ლუბინის რაიონში. ახლა აქ წარმოებს გეოლოგიური კვლევა 1500 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე. წინასწარმა კვლევამ ცხადყო, რომ წმინდა სპილენძის მარაგი დაახლოებით 10 მილიონ ტონას შეადგენს. აქაური მადანი შეიცავს წმინდა სპილენძის დიდ პროცენტს. ზოგ ადგილას წმინდა სპილენძი მადანში 10 პროცენტს აღწევს.

სპილენძის მადნის საბადოების აღმოჩენა პოლონელი გეოლოგების მეორე დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა უკანასკნელ დროს უეშუვის სავოევოდოს ტარნოჟეგის და კელცის სავოევოდოს პინჩოვის რაიონში გოგირდის დიდი მარაგის აღმოჩენის შემდეგ.

სოციალისტურ ქვეყნებში

ჩეპელი

ყოველი ადამიანის ყურადღებას, ვინც გელერტის მთაზე ადის, რათა უნგრეთის დედაქალაქის პანორამით დატკბეს, იქცევს ფაბრიკების მრავალი საკომური, რომლებიც შავმოიისფერო კვამლში აღმართულან ბუდაპეშტის სამხრეთ გარეუბანში. აქ, კუნძულზე, რომელსაც დუნაის ორი ტოტი ქმნის, მდებარეობს უნგრეთის უდიდესი სამრეწველო საწარმო—ჩეპელის მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი კომბინატი.

კომბინატის უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც 170 ჰექტარს აღემატება, მდებარეობს 18 ქარხანა, რომელნიც სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებენ. აქ ადნობენ ფოლადს, გლინავენ ლითონს, ამზადებენ მილებსა და თანამედროვე ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, აწარმოებენ მოტოციკლს, ველოსიპედს, საკერავ მანქანას, ბურთობსაკისარსა და ათობით სხვა სახეობის პროდუქციას, რაც საჭიროა უნგრეთის სახალხო მეურნეობისათვის და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ჩეპელის კომბინატი 65 წლისაა. მაგრამ ყველაზე მეტი ცვლილება აქ მოხდა უკანასკნელ ათ წელიწადში, როცა იგი ხალხის საკუთრება გახდა.

ათ წელიწადში აქ აშენდა დიდმწარმოებლური მარტენის ღუმელი, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მილსაგლინავი ქარხანა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ლითონსაჭრელი ჩარხების საწარმოო ქარხანა და განხორციელდა მთელი რიგი დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

კომბინატის პროდუქციის წარმოება ამ ხნის განმავლობაში ერთიორად გადიდდა. მაგრამ მოპოვებულ წარმატებას ჩეპელელები როდი სჯერდებიან.

მთელმა უნგრეთმა იცის ახლა ჩეპელელთა ის ვალდებულება, რომ სახელმწიფოს წელს დაუზოგონ 100 მილიონი ფორინტი ნედლეულისა და მასალების უკეთ გამოყენებით, წუნის შემცირებით და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით. ამ ხანხიდან 35 მილიონი უკვე დაზოგილია. დანარჩენ 65 მილიონს ჩეპელელები, რომლებმაც გამოიანგარიშეს გამოუყენებელი შესაძლებლობანი, აპირებენ დაზოგონ დასახულ ვადაზე ადრე. მაგალითად, სამჭედლო საამქროს კოლექტივი პირობას დებს ნაკისრი ვალდებულება 20 ნოემბრისათვის — უნგრეთის კომუნისტური პარტიის შექმნის დღისათვის შეასრულოს, მილმგლინავები და ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშაკები — პირველი დეკემბრისათვის.

კომბინატში ფართოდ განვითარებულია რაციონალიზატორული მოძრაობა. იგი ყოველწლიურად იძლევა დაახლოებით 30 მილიონ ფორინტ ეკონომიას. კომბინატის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს ხელმძღვანელი გეზა გაზდა, ვისი სახელიც ერთ დროს ეწოდა რაციონალიზატორთა მოძრაობას უნგრეთში, გვიამბობს, რომ ყოველ თვეში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან ბიუროში შედის 500-მდე წინადადება. ივნისში, ამბობს იგი, შემოსული 493 წინადადებიდან დაინერგა 266 წინადადება. მარტო ეს კომბინატს წელიწადში მისცემს 3 მილიონ 73 ათას ფორინტ ეკონომიას.

ჩეპელში მომჭირნეობისათვის ბრძოლის ინიციატორად გამოდის ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზაციამ, რომელსაც აქ თითქმის 3 ათასი წევრი ჰყავს, ამას წინათ მოაწყო წარმოების ნარჩენის საუკეთესო გამოყენების კონკურსი, რომლის შედეგად ცოტა ძვირფასი წინადადება როდი შეიტანეს. საბჭოთა კომკავშირელების მაგალითისამებრ მოწყობილია ახალგაზრდობის პოსტები, რომლებიც მკაცრად ადევნებენ თვალყურს ნედლეულისა და მასალების ხარჯვას, სახელმწიფო საკუთრებისადმი ფრთხილად მოპყრობას.

ახლა ჩეპელის ახალგაზრდობას აქვს ახალი გეგმა: საზოგადოებრივი წესით აიშენოს ათასი ბინა. ამასთან სახსრების ნაწილი მშენებლობისათვის მიღებულ უნდა იქნეს აგრეთვე მომჭირნეობით.

უნგრეთის სახალხო მეურნეობის სამწლიანი გეგმით მრეწველობის წინაშე დასახულია პირველ რიგში დიზელმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის განვითარების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და მძლავრდენის მოწყობილობის წარმოების ამოცანა.

ამჟამად კომბინატში მთელი რიგი ქარხნების მოწყობილობის მოდერნიზაციასთან ერთად გრძელდება ახალი მშენებლობაც. მაგალითად, სულ ამ ცოტა ხნის წინათ აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ალუმინის საგლინავი დგანი. დაიწყო ტრანსფორმატორული ქარხნის მშენებლობა, მალე დაიწყება იმ მრეწველობის საწყისი მასალების წარმოების ქარხნის მშენებლობა, რომელიც კავშირგაბმულობის საშუალებებს აწარმოებს. როგორც უკვე არსებულ, ისე ახალ საწარმოებშიც დაიდგმება მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი მოწყობილობა, რომელიც ახლო მომავალში გაიგზავნება საბჭოთა კავშირიდან უნგრეთისათვის მიცემული კრედიტის ფარგლებში.

ჩეპელში მარტო კომბინატი როდი ვითარდება. უკანასკნელ ათ წელიწადში დიდად შეიცვალა იმათი ცხოვრებაც, ვინც იქ შრომობს.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების უბნები კეთილმოწყობილი ბინებით, სკოლები, ამბულატორიები, საბავშვო ბაღები და ბაგები, ქარხნის სასადილოები — ყოველივე ეს, რაც აშენებულია და კვლავ შენდება აქ, ცოცხლად მოწმობს სახალხო ხელისუფლების ზრუნვას მშრომელი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. (საქდესი).

ა. ხმიონოვი.

ქალაქი ბუდაპეშტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს ქიმიური ნაწარმის მომარაგება-გასაღების სამმართველო „**ქიმმარაგგასაღება**" შეუდგა 1959 წლისათვის განაცხადების მიღებას დეცენტრალიზებულად დაგეგმილ ქიმიურ პროდუქციაზე და რეზინ-აზბესტის ნაწარმზე.

ფორმების, ნომენკლატურისა და განაცხადების წარმოდგენის წესების გაცნობა შეიძლება „ქიმმარაგგასაღების" სამმართველოში (მაჩაბლის ქ. № 2).

„ქიმმარაგგასაღების" სამმართველო განაცხადებს იღებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში შემავალი სამმართველოებისა და ტრესტებისაგან, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე საკავშირო სამინისტროებში შემავალი საწარმოებისაგან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებისაგან.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ყველა სახის პროდუქციით, დეცენტრალიზებულად დაგეგმილი ქიმიური პროდუქციით და რეზინ-აზბესტის ნაწარმით უზრუნველყოფს „გლავხიმსბიტი" (ქ. მოსკოვი), ცენტრალიზებული წესით განაცხადები ამ სამინისტროებს სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისაგან „ქიმმარაგგასაღების" სამმართველოს მიერ მიღებული არ იქნება.

განაცხადების მიღების ვადაა 1958 წლის 1 სექტემბერი, რის შემდეგ განაცხადები მიღებული და განხილული აღარ იქნება.

განაცხადების შედგენის დროს ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ 1958 წლისათვის შედგენილი განაცხადების წესებითა და ფორმებით.

„ქიმმარაგგასაღების" სამმართველო

დღეს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ღამურა (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, დასაწყისი 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — სიყვარულის მაზურკა, **ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ვაკის პარკი** — საქმე ჯერ არ დამთავრებულა, **ფილარმონიის ბაღი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **ყაზბეგი** — ძალად მძღოლი, **ისანი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **სარეწაო საბჭოს კულტურის სახლი** — მისტერ იქსი, **თბილისი** — მაქსიმე პერეპელიცა, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზაფხულო) — 1918 წელი (დები — II სერია), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ანტონი და ანტუანეტა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — კარნავალის ღამე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, **საქართველო** (საზაფხულო) — რომი 11 საათზე, **კოლმეურნე** — ბორანი, **დიდუბე** (საზაფხულო) — მეთორმეტე ღამე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო

თეატრი

1958-59 წლების სეზონისათვის თეატრი უშვებს

აბონემენტთა

სერიას. თითო აბონემენტში შედის 10 სპექტაკლი, რომლის ფასი დაკლებულია 10 პროცენტით ნომინალურ ფასთან შედარებით.

ა) აბონემენტში შედის საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, აგრეთვე სპექტაკლები განახლებული დადგმით.

ბ) ყოველ აბონემენტში შედის ბალეტი „**ოტელო**" სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის **ვ. მ. ჭაბუკიანის** მონაწილეობით, აგრეთვე ერთი სპექტაკლი **ბასტრო-ლიორის** მონაწილეობით.

აბონემენტი გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე თეატრის სალაროებში და თეატრის რწმუნებულების საშუალებით ა. წ. 1 სექტემბრიდან.

მიიღება შეკვეთები დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება

ეკატერინე ასათიანი-ალავიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII, ქ. სამტრედიაში, გამოსვენება რკინიგზის სახლი № 5.

მეუღლე მარო სტურუა, შვილი კუკური, სიძე ნოდარ, ძმა სამსონ ოჯახებით იუწყებიან პოდპოლკოვნიკ

სიმონ ალექსის-ძე ჯიჯიეშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-VIII, 8 ს. გამოსვენება 21-VIII, 5 ს. [illegible]ბოვის ქ. № 28.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 03969 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.